

# ვილსვილით ქართველთა სისოსხლის გაღასრჩენად! ქრისტე აღსდგა, ბისაროდენ!

## სამართიველი




იმისთანა წმინდა საძმეში, ბოგბინც ბუქდ-  
ვუბი სიფყვას, ცუდილებით და ჭბბბბით ბუბ-  
თის გაცვანა ყველა უჯდბბბბბბუ უსაბაგლესია.

გამოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 16 აპრილი. 2020 წ. №56 (8982) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი



## დღესასწაულთა დღესასწაული

### ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი

19 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესია ქართველ ერთან ერთად დღესასწაულობს იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

...დიდ შაბათს, ნაშუაღამევს, ქრისტეს საფლავის მცველებმა მოულოდნელად იგრძნეს, რომ მიწა იძრა და იმწამსვე ანგელოზი დაინახეს თეთრად ეღვარე სამოსელით, რომელმაც საფლავის კარიდან დიდი ლოდი გადააგორა და იქვე ჩამოვდა.

### ქრისტე აღსდგა!

ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ პირველად მენელსაცხებლედ დედებს ეხნათ, დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს,

მოციქულებმა – თავიანთ სამწყსოს და აი, მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადამიანი იმეორებს:

### ქრისტე აღსდგა!

### ჭეუპარითად აღსდგა!

აღდგომილი მაცხოვარი პირველად იხილა და იცნო დგთისმშობელმა და იგი მისი მოციქულების მოციქული გახდა.

ყოვლადწმინდა დედა პირველად ჩასწვდა აღსრულებული მოვლენის მთელ დიდებულებას.

### ბილოცავთ დღესასწაულთა დღესასწაულს!

**კორონას,  
უიეუილსა  
და სიღარიბეს  
დავაპარსებთ,  
თუ ერთად  
ვიეუუავებთ!**

ღია წერილი  
სამართიველს  
პრეზიერ-მინისტრს,  
გაბონ გიორგი განხარინას

— უფალო, შენ უშველე ამ გაჭირვებულს! —  
**მარაზმბტიკული ლიბერალების  
კლასტერი და რეპლობა 5**

ღამით ზარღიაშვილი:  
მანტერებს, „კინინგბერბი“  
დემოკრატიის ბეღზე რომ  
წუსდნენ, ახლა რას ფიქრობენ,  
როსა სამართიველს დემოკრატიამ  
უკეთესად იეუუავა, ვიღრა ამერიკისამ?

როგორ იმოქმედებს  
COVID-19-ის პანდემია  
მსოფლიოს სავაბით  
მოპარაგებავა

**სურსათი  
უაპი 8  
დღისთვის...**

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 23 აპრილს



### მადლოვის წერილი აშშ-ის საელჩოში

საპარტიველოში აშშ-ის საელჩო შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის ძალების კოორდინირებული პარტიველოების მადლოვას უხდის. საელჩო ინფორმაციას „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე ავრცელებს. „დღეს გვსურს, მადლობა გადავუხადოთ ჩვენს პარტიველოებს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ძალებში. ისინი მხარდაჭერა მუშაობენ ამ კრიზისთან ბრძოლის წინა ხაზზე, რათა საქართველო უსაფრთხო და დაცულ გარემოში შეძლოს „კოვიდ-19“-თან გამკლავება. ასეთი პროფესიონალების გამბედაობისა და თავდადების წყალობით ხდება ვირუსის გავრცელების შეკავება, ქვეყნის მიერ კრიზისის დაძლევა და საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვა“, – ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

### მხარდაჭერისა და სოლიდარობის საუკეთესო გზაა


საპარტიველოში პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს ვიდეოზარის საშუალებით ესაუბრა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ დღეს მსოფლიოში შექმნილ ახალ ვითარებაში ყველა დონეზე სოლიდარობა და მათ შორის რეგიონული სოლიდარობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. მან მადლობა გადაუხადა ილჰამ ალიევს განხორციელებული სოლიდარობის აქტისათვის და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანში, ჰეიდარ ალიევის სახელობის ცენტრის საქართველოს დროშის ფერებში განათება საქართველოს მი-



მართ მხარდაჭერის გამოხატულება და სოლიდარობის საუკეთესო გზაა.

თავის მხრივ, ილჰამ ალიევი მაღალი შეფასება მისცა საქართველოში კოორდინირებული პარტიველოების ღონისძიებებს. პრესსამსახურში აცხადებენ, რომ პრეზიდენტმა რეგიონული სოლიდარობის საკითხზეც ისაუბრეს. საქართველოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ კოორდინირებული გამოწვეული მძიმე ვითარება სწრაფად დასრულდება, განახლებულ პოლიტიკურ დღის წესრიგში რეგიონული ვიზიტები პრიორიტეტი იქნება და საქართველოში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ვიზიტი შედგება.



### ვის არ ეხება ოთხი ქალაქის ჩაკეტვის დროს დაწესებული შეზღუდვები

საპარტიველოში მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა, ვის არ ეხება 15 აპრილის 21 საათიდან დაწესებული შეზღუდვები. ცნობილია, რომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და რუსთავი ჩაიკეტება.

საქართველოს მთავრობის №242-ე დადგენილება „საკანონმდებლო მაცნეზე“ ხელმისაწვდომი. ამ ბრძანებით განისაზღვრა იმ საქმიანობების სია, ვისაც არ ეხება დღეს 21 საათიდან შემოღებული შეზღუდვები:

- სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლების სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე გადაადგილებას;
- საერთაშორისო და ადგილობრივ სატვირთო გადაზიდვებს;
- საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების სამსახურებრივი საქმიანობიდან გამომდინარე გადაადგილებას;
- ბრალდებულების/მსჯავრდებულების გადაყვანას;
- ფულადი სახსრების, ძვირფასი ლითონებისა და სხვა ფასეულობათა ინკასირებას;
- ელექტროენერჯის, ბუნებრივი გაზის, წყლის წარმოების/გადაცემის/განაწილების/მიწოდების, ასევე სატელეკომუნიკაციო, საფოსტო და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდების მიზნით გადაადგილებას;

- სამომსახურეო სარკინიგზო მომსახურების მიზნით გადაადგილებას;
- მედიასაშუალებების წარმომადგენელთა ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილებას;
- სარიტუალო მომსახურების განხორციელების მიზნით გადაადგილებას (მიცვალებულის გადასვენება/დაკრძალვა);
- საერთაშორისო ორგანიზაციების პუმანიტარული მიზნებისთვის გადაადგილებას;
- კერძო დაცვითი საქმიანობის განხორციელების მიზნით გადაადგილებას;
- საჯარო დაწესებულებებისა და ამ დადგენილებით დაშვებული ეკონომიკური საქმიანობების განმარტაციული სუბიექტების მიერ ოპერაციულ შტაბთან შეთანხმებულ სიაში მყოფ პირებს/ავტოსატრანსპორტო საშუალებებს, რომელთა გადაადგილება ცრტიკულად აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად.

დადგენილებაში ასევე ნათქვამია, რომ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში შესვლა არ ეკრძალებათ ამ მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულ პირებს. ამასთან, მუნიციპალიტეტებიდან გასვლა არ ეკრძალებათ სხვა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს. დადგენილებას ხელს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია აწერს და ის ძალაში 2020 წლის 15 აპრილის 21 საათიდან შევა.

### შეიქმნა ანტიკრიზისული ეკონომიკური ჯგუფი

პრემიერის პრესსამსახურის ინფორმაციით, პროცესის კიდევ უფრო ეფექტიანი, კოორდინირებული მართვისთვის გიორგი გახარიას ხელმძღვანელობით მოქმედ უწყებათაშორის საბჭოსთან ანტიკრიზისული ეკონომიკური ჯგუფი შეიქმნა, სადაც მთავრობის ეკონომიკურ გუნდთან ერთად მუშაობენ საკანონმდებლო ორგანოს დარგობრივი კომიტეტების წარმომადგენლები, ასევე ეროვნული ბანკი.

ამ ფორმატში, მთავრობის ეკონომიკური გუნდის მინისტრებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე, ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით სონღულაშვილი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე ნინო წილოსანი, აგარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე, თბილისის მერი კახა კალაძე, ბიზნესობიექტების მხედელ დაუშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველები – სოზარ სუბარი და ბექა ლილუაშვილი, ინვესტორთა საბჭოს მდივანი გიორგი ჩერქეზიშვილი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

### პრემიერ-მინისტრის ეკონომიკურმა პრეზენტაციამ ანტიკრიზისული გეგმის პრინციპები განმარტა

პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა ბექა ლილუაშვილმა ბრიფინგზე ანტიკრიზისული გეგმის პრინციპებზე ისაუბრა.



საპარტიველოში საგარეო უწყების (სსფ) მისიის შექმნის მიზნით დაარსდა საგარეო უწყების ხელმძღვანელო თანხასთან ერთად, მთლიანი ჩამორიცხვები საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 450 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდება, – ამის შესახებ სსფ-ის მისიის ხელმძღვანელმა

### მერსედეს ვერა მარტინი: საქართველოში მიმდინარე პროგრამის ფარგლებში მთლიანი ჩამორიცხვები დაახლოებით 450 მილიონ დოლარს გაუტოლდება

მერსედეს ვერა მარტინმა განაცხადა. სსფ-ის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 1-13 აპრილს საერთაშორისო საგარეო უწყების მისიამ მერსედეს ვერა მარტინის ხელმძღვანელობით მოლაპარაკებები გამართა საქართველოს ხელისუფლებასთან საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის შექმნის მიზნით. მარტინმა განაცხადა, პროდუქტიული დისკუსიის საფუძველზე საქართველოს ხელისუფლებასა და სსფ-ის მისიას შორის მიღწეულია შეთანხმება საქართველო-

ში მიმდინარე პროგრამის მექანზიმში ხილვის წარმატებით დასრულების შემდეგ. მისივე ინფორმაციით, მისიის დონეზე მიღწეულ ამ შეთანხმებას სსფ-ის აღმასრულებელი საბჭო მიმდინარე წლის მაისის დასაწყისში განიხილავს. როგორც მერსედეს ვერა მარტინმა განაცხადა, მექანზიმში მისიის დასრულების შემდეგ საქართველოსთვის ხელმისაწვდომი თანხასთან ერთად, მთლიანი ჩამორიცხვები საქართველოში მიმდინარე „გაფართოებული დაფინანსების მექანიზმით“ მხარდაჭერილი პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 450 მილიონ აშშ დოლარს გაუტოლდება, რაც საქართველოს კვოტის 15 პროცენტია.

# კორონას, შიშუილსა და სიღარიბეს დავამარცხებთ, თუ ერთად ვიბრძობთ!

ბატონო პრემიერ-მინისტრო, ქართული სოფელი წლების განმავლობაში უდიდესი დამოკიდებულების გამო უაღრესად დაკნინებულია. სოფლის მეურნეობის ჩავარდნა არის ქვეყანაში სიღარიბის მაღალი დონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. საქართველო რჩება იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყნად, მიუხედავად სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამაში ინვესტირებული ასეულობით მილიონი ლარისა. შედეგად, ქვეყნის თვითურუნველყოფის მაჩვენებლები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. გარდა ამისა, საქართველოსთვის, მისი მოსახლეობის ეთნოკულტურული და ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე, კატეგორიულად მიუღებელია სოციალური პოლარიზაციის არსებული მდგომარეობა, რომელიც აისახება ენ. ჯინის ინდექსით, რომლითაც საქართველო 104-ე პოზიციაზეა 156 ქვეყანას შორის და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდანაც კი ეს პარამეტრი ყველაზე მაღალია რუსეთის შემდეგ. ამის მიზეზი გახლავთ ის, რომ მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკა არ არის ადეკვატური იმ გამოწვევების მიმართ, რასაც მოიხსნის აგრარული სექტორის ინტენსიური და დაბალანსებული განვითარება.



**ლია წერილი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ გიორგი გახარიას**

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსახლეობის სამედიცინო გააქტიურება და მათი შემოსავლების ინტენსიური ზრდა ყველაზე უკეთ შესაძლებელია კოოპერაციული სექტორის აქტიური მხარდაჭერით. სწორედ კოოპერაციულ ორგანიზაციებს (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, ასოციაციები, კავშირები, სააქციო საზოგადოებები, სადაც კომპანიის საკონტროლო პაკეტი უშუალოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებლებს ეფუძნება) გააჩნიათ კრიზისების გადალახვის, შიმშილის და სიღარიბის დაძლევის საუკეთესო პლატფორმა. კოოპერირების გარეშე მცირე ფერმერული მეურნეობების არსებობა შესაძლებელია მხოლოდ დაბალტექნოლოგიურ დონეზე, რაც საბოლოო ანგარიშით ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს მათ სამედიცინო განვითარებას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია პრაქტიკულად წარმოადგენს არსებული არაეფექტიანი ეკონომიკური ფორმის შეცვლის მექანიზმს, დიამეტრალურად განსხვავებული, ეფექტიანი ორგანიზაციული მოწყობით, ანუ ფორმას, რომლის მიზანია მოსახლეობის სამედიცინო გააქტიურება და ინკლუზიური ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარება.

სიღრმისეულ გააზრებას და ახლებურ ხედვას საჭიროებს გადასწავლებელი მრეწველობის, როგორც **დამატებული ღირებულების ძირითადი შემქმნელის** მნიშვნელობა, რადგან არსებითია, თუ ვისი შემოსავლების ზრდას ემსახურება პროდუქციის გადამამუშავების შედეგად მიღებული დამატებული ღირებულება და რა შედეგი მოაქვს ამ საკითხის მიმართ გაუაზრებელ პოლიტიკას, ან საერთოდ პოლიტიკის არარსებობას.

კოოპერაციული სანარმოების ფარგლებში ვერტიკალური ინტეგრაციის ფორმის გამოყენებით (მაგალითად დარჩევის 600-წევრიანი კოოპერატივი და შუაფხოს მაღალმთიანი 32-წევრი-

ანი კოოპერატივი), აგროპროდუქციის მწარმოებლებს ეძლევათ პირველადი პროდუქციის წარმოების, გადამამუშავებისა და რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნის შესაძლებლობა, სადაც შექმნილი დამატებული ღირებულება ემსახურება უშუალოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას.

სამწუხაროდ, დღემდე ხელისუფლების შესაბამისი უწყებების მიერ ეს საკითხი საერთოდ უგულვებელყოფილია და ისეთი პროგრამებით, როგორცაა „შეღავათიანი აგროკრედიტი“, „ანარმოე საქართველოში“, მილიონობით ლარი მიემართება სოფლის მოსახლეობიდან ნედლეულის შემსყიდველი, მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ორიენტირებული შპს-ს ტიპის გადამამუშავებელი სანარმოების დაფინანსებაზე, რომლებიც მონოდებული არიან, შეისყიდონ მოსახლეობიდან ნედლეული რაც შეიძლება დაბალ ფასად, სადაც პროდუქციის გადამამუშავებით შექმნილი დამატებული ღირებულება ემსახურება გადამამუშავებელი სანარმოების მეპატრონე რამდენიმე საქმოსნის კიდევ უფრო გამდიდრებას.

აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სანარმოო ურთიერთობათა ასეთი ფორმით გაგრძელება სოფლის მოსახლეობისთვის საბოლოო ანგარიშით უკუშედეგის მომტანია და ინვესტ მოსახლეობის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების მოტივაციის დასუსტებას, ადგილებზე სამეწარმეო განვითარების პერსპექტივის დაკარგვას, მიწების გაპარტახებას და, რაც მთავარია, სოციალური სფეროს მოშლას. აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, სახელმწიფო ფინანსური რესურსების სოლიდური ნაწილი უკუშედეგების მომტანი ღონისძიებებზეა მიმართული.

ნიშნდობლივია, რომ წარმატებული ეკონომიკის ქვეყნებმა მწვევე კრიზისების დაძლევის და

სწრაფი ეკონომიკური ზრდის პრიორიტეტულ მიმართულებად სწორედ კოოპერაციული სისტემის განვითარება მიიჩნიეს. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულმა, უმწვევეს კრიზისში მყოფმა იაპონიის მთავრობამ 1947 წელს მიიღო გადაწყვეტილება, რომ ყველა სოფელში ჩამოყალიბებულიყო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი და აგრარულ სექტორში დასაქმებული ყველა პირი გამხდარიყო კოოპერატივის წევრი, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა მოხდარიყო იაპონიის სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება და მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა. დღეს იაპონიის სოფლის მოსახლეობის 91% განვითარებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში.

**უაღრესად მნიშვნელოვანია რესურსების მძლავრი ინვესტირება, სწორედ კოოპერაციული სისტემით შიშუილზე და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასოფლო-სამეურნეო სისტემის განვითარება. სწორედ კოოპერაციული სისტემით მიიღწევა პოლანდიაში, გახარიაში მსოფლიოში ერთ-ერთი ლიდერი რაიონის პროდუქციის ექსპორტი.**

აშკარაა, რომ არსებული ეტაპზე საქართველოსთვის აუცილებელია პროგრესული სისტემური ცვლილებები (რეფორმები), რაც უზრუნველყოფს სოფლის, როგორც ტერიტორიული ერთეულის განვითარებას, რეგიონებში მოსახ-

ლეობის მასობრივ დასაქმებას, ეროვნული პროდუქციის მოცულობის ინტენსიურ ზრდას, განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებას და სოფლის მოსახლეობის ყოფითი (სოციალურ-კულტურული) სტატუსის გათანაბრებას ქალაქის მოსახლეობის სტატუსთან, რასაც სოფლად ადაპიანთა რესურსების შენარჩუნება-განვითარებისთვის და აგროსასურსათო წარმოების გაფართოებული აღწერებისთვის და ამდენად მნიშვნელოვან აქვს. საკითხი ეხება აგრარულ სექტორში კომპლექსური ხასიათის მქონე ახალი პოლიტიკის გატარებას, რაც უზრუნველყოფს მისი ყველა ფუნქციის ბალანსს და იძლევა სანარმოო ქმედუნარიანობის ოპტიმალურთან მიხედვით ყველაზე კარგ საშუალებას.

მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზემოაღნიშნული რთული და არაერთგვაროვანი პრობლემების გადაჭრა ყველაზე ეფექტიანად შესაძლებელია ძლიერი კოოპერაციული ინფრასტრუქტურის ფორ-

მირებით, რისთვისაც უმთავრესია სახელმწიფო პოლიტიკური ნების არსებობა. იგი სხვა კომპონენტებთან ერთად, მოიცავს ვერტიკალური ინტეგრაციის პრინციპით მოქმედ კოოპერაციულ სანარმოებს და კოოპერაციულ აგროსაკრედიტო სისტემას. ამასთან, აუცილებელია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციულ სანარმოებს უსასყიდლოდ, მუდმივ მფლობელობასა და სარგებლობაში გადაეცეთ სასოფლო ტერიტორიებზე არსებული სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

**აუცილებელია მთავრობამ რაც შეიძლება მოკლე დროში შეიშალოს ანტიკრიზისული პროგრამა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ჩართულობით, რადგან განვლილმა წლებმა აშკარა გახადა, რომ ი.ე. „პიუნისის წარმოადგენლობა“ კონსულტაციებით ასეთი პროგრამის მომზადება შეუძლებელია. ნიშნდობლივია, რომ არც ერთ ქვეყანას ანტიკრიზისული პროგრამები არ განუხორციელებია „საქმონების“ კარნახით და არც საქართველოს უმაღლესი რაიონი კარგ მსოფლიო მათ ინტერესებზე ორიენტირება.**

**ამ ურთულესი საკითხის მიმართ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, განვიხილოთ მთავარი მხარე-მხარის, შიშუილის პროფილის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან ერთად, აქტიურად ჩავეერთოს სახელმწიფო კონსულტაციის მიხედვით, რა თქმა უნდა, მისი აგრარული სექტორის ანტიკრიზისული, ინკლუზიური განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამის უმოკლეს დროში მოსახ-**

**პაატა კოლუაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;**  
**ვლადიმერ პაპაძე, აკადემიკოსი;**  
**ავთანდილ სილაგაძე, აკადემიკოსი;**  
**თამაზ კუნჭულია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;**  
**ელგუჯა მემვაბიშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**  
**რევაზ გომოხია, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**  
**ნიკოლოზ ჩხილაძე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;**  
**ბადრი რამიშვილი, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი;**  
**იოსებ ბრეგვაძე, ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი;**  
**დავით გალავაშვილი, ეკონომიკის დოქტორი.**



# დავით ზარდიაშვილი: მაინტერესებს, „კიზინბერები“ დემოკრატიის ბედზე რომ ნუხდნენ, ახლა რას ფიქრობენ, როცა საქართველოს დემოკრატია უკეთესად იმუშავა, ვიდრე ამერიკისა?

**„ზრანგებს აქვთ გამოთქმა „აპროპო“, როცა ქმედებები თანაზომიერი. ის არის უმაღლესი შეფასება და, როცა ზრანგები ვინმეზე იტყვიან, ის მოიძცა აპროპო, ის ნიშნავს, მოიძცა საუკეთესოდ. საქართველოს შეფასებაზე უსტად ასეთია ამ პერიოდში“, – აცხადებს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი.**

– ზარიანობით შესახელმწიფოებისგან განსხვავებით, საქართველო კორონას პანდემიის საინფორმაციო პროცესებს უკეთესად მართავს. ახლა ჩვენი მთავრობა მეორე დილემის წინაშეა, დაიცავს ბალანსი მოქალაქის ჯანმრთელობასა და და ეკონომიკური პოტენციალის შენარჩუნებას შორის. როგორ გგონიათ, ჩვენს ხელისუფალთ შესწევთ ამის უნარი?

– კორონავირუსის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, საქართველოს მთავრობა ლამის მთელ მსოფლიოში სამაგალითო ადეკვატურობით გამოირჩევა. მისი პასუხი ზომიერი, დროული, გათვლილი იყო, არც რეაგირება და უგვიანიათ და არც ზედმეტი გაუკეთებიათ. ყველა შეზღუდვა, რაც დაწესდა, შესაბამისი, თანაზომიერი პროპორციებისაა. ეს ხდება იმიტომ, რომ კომპეტენტურ და პროფესიულ აზრს იზიარებენ და არა პოლიტიკურ მიზანშეწონილობას. შედარებისთვის გავისხენოთ, რომ საქართველომ ბოლო საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა 2007-ში, ნოემბრის ამბების მერე. როგორც ცა და დედაამინა, ისე განსხვავდება მაშინდელი და ახლანდელი საგანგებო მდგომარეობა. 2007-ში თვითონ ხელისუფლებამ შექმნა საფრთხე და მერე თვითონვე გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა, ახლანდელი ვითარება კი ადასტურებს, რომ საქართველოში მოხდა დემოკრატიის კონსოლიდაცია, ანუ დემოკრატია იმუშავა იმაზე უკეთესად, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში.

ამ გლობალური კრიზისის დროს უხერხულია წარმატებაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს ნამდვილად წარმატებაა. მაინტერესებს, კიზინბერები და ჩვენი მეგობრები, დემოკრატიის ბედზე რომ ნუხდნენ, ახლა რას ფიქრობენ, როცა საქართველოს დემოკრატია უკეთესად იმუშავა, ვიდრე ამერიკის დემოკრატიაში...

– იტალიის პრემიერ-მინისტრი ამბობს – ყველაფერი თავიდან რომ იყოს დასაწყისი, ისე იმავს გააკეთებდა და მჯერდებოდა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვას არ დაანებებდა, რადგან გიჟად ჩათვლიდნენ. როგორც ჩანს, თქვენც ფიქრობთ, რომ ზუსტად დემოკრატია დალუბა დასავლეთი?

– დემოკრატია აქვს სამი ფუნდამენტური ღირსი, ღირებულება – ეს არის თავისუფლება, თანასწორობა და წესრიგი. ეს იმთავითვე წინააღმდეგობრივ ღირებულებებსა და დილემებს წარმოშობს. სამი დიდი დემოკრატიის დილემა ცნობილია – თავისუფლება თუ წესრიგი, თანასწორობა თუ წესრიგი, თავისუფლება თუ თანასწორობა?! ამაზე უნდა გაცხდეს პასუხი დემოკრატიაში. დემოკრატია მუშაობს მხოლოდ მაშინ, როცა ადეკვატურია ხოლმე მისი პასუხები, ახლა მთავარი გამოწვევა მთელ მსოფლიოში არის თავისუფლება თუ წესრიგი? რასაკვირველია, წესრიგი და მობილიზება საჭირო, მაგრამ არა ისეთი ფორმით, რაც ჩინეთმა გააკეთა. იტალიამ თვითონვე აღიარა, რომ ვერ გაუგებდა ხალხი, საგანგებო მდგომარეობა რომ გამოეცხადებინათ. ეს ნიშნავს, რომ იტალიამ ეს დილემა ვერ დაძლია, ანუ ვერ მოახერხა უფლების ადეკვატური შეზღუდვა ისე, რომ წესრიგი არ დაზარალებულიყო; იტალიელებმა ან ვერ გაბედეს ამის გაკეთება, ან შეეშინდათ, ან ლეგიტიმობის პრობლემა ჰქონდათ, საქართველომ კი ეს გააკეთა ზუსტად ისე, როგორც უნდა გაეკეთებინა. არც მეტი გაუკეთებია, არც ნაკლები. არც არაფერი გადაუშეშებია და ეს გამოგნებელია. ერთი წამითაც ეჭვი არავის გასჩენია, არც ერთ მოქალაქეს, თუ ის პოლიტიკურად მოტივირებული და მარგინალიზებული არ არის, რომ ხელისუფლება, საჯარო სამსახურები, ან სახელმწიფო ინსტიტუტები რომელიმე მოქალაქის კანონიერ უფლებას ხელყოფდნენ. ანუ ეს შეზღუდვები იყო საფრთხის შესაბამისი, პროპორციული, ლეგიტიმური და აპროპოპიური.

ყო; იტალიელებმა ან ვერ გაბედეს ამის გაკეთება, ან შეეშინდათ, ან ლეგიტიმობის პრობლემა ჰქონდათ, საქართველომ კი ეს გააკეთა ზუსტად ისე, როგორც უნდა გაეკეთებინა. არც მეტი გაუკეთებია, არც ნაკლები. არც არაფერი გადაუშეშებია და ეს გამოგნებელია. ერთი წამითაც ეჭვი არავის გასჩენია, არც ერთ მოქალაქეს, თუ ის პოლიტიკურად მოტივირებული და მარგინალიზებული არ არის, რომ ხელისუფლება, საჯარო სამსახურები, ან სახელმწიფო ინსტიტუტები რომელიმე მოქალაქის კანონიერ უფლებას ხელყოფდნენ. ანუ ეს შეზღუდვები იყო საფრთხის შესაბამისი, პროპორციული, ლეგიტიმური და აპროპოპიური.



რომ. ეს ყველაფერი ხდებოდა კონსტიტუციის, კანონის ფარგლებში.

– გვესმის, რომ ბიუჯეტი მწირია, მაგრამ მოლოდინის რეჟიმში, ალბათ, ძალიან არ უნდა გაიწიოს, რადგან სახლში დარჩენილი უმუშევარი მოსახლეობა ელის, რომ სახელმწიფო, ბოლოს და ბოლოს, ფინანსურად დაეხმარება.

– ეს ერთ-ერთი არსებითი გამოწვევაა, რადგან, თუ ამ შეზღუდვებმა რამე გააფუჭა, ეს არის ზუსტად ეკონომიკური მდგომარეობა. ქვეყანას ისედაც მწირი რესურსები აქვს და კიდევ უფრო დამძიმდა ამ თვალსაზრისით მდგომარეობა. დარწმუნებული ვარ, თუ ხელისუფლება დარჩება ამ ფარგლებში, ისევე ადეკვატურად იმოქმედებს, გამოსავალს იპოვის. რასაკვირველია, უნდა ვიცოდეთ, რომ ყველას გაგვიჭირდება, ისე არ იქნება, როგორც კრიზისამდე იყო, მაგრამ ეს მოცემულობა უნდა მივიღოთ, სხვა გამოსავალი არ არსებობს. ცხადია, მეტი იქნება ეკონომიკური პრობლემები, ეს არ ნიშნავს, რომ პრინციპებს ვუღალატოთ, დემოკრატია უარყოფთ და სხვა რეჟიმში გადავიდეთ; რასაკვირველია, საქართველო დარჩება თავისი დემოკრატიული არჩევანის ერთგული. ის იქნება სამართლიანი და ახლა წინა პლანზე მოდის თანასწორობის საკითხი. სოლიდარობა უნდა იყოს, შედარებით მდიდრებმა თავიანთი შემოსავლები უნდა გადაუნაწილონ ღარიბებს.

– ვითომ ეს მოხდება და მდიდრებს ღარიბები გაასხენდებათ?

– ეს უნდა მოხდეს. ღრმად ვარ ამაში დარწმუნებული. რამდენიმე საინტერესო ინიციატივა იყო, მაგალითად, „სოციალდემოკრატების“, გია ჟორჯოლიანის ინიციატივა, რომელმაც თქვა, რომ ასეთ ვითარებაში, სანამ კრიზისი არ დაიძლევა, შესაძლებელია, მთავრობის გადაწყვეტილებით სპეციალური ფონდი შეიქმნას და სპეციალური გადასახადი დაწესდეს. ანუ ამ ფონდში შენატანს გააკეთებენ მდიდრები და, რაც უფრო მეტი შემოსავალი აქვს სუბიექტს, მით მეტი იქნება გადასახადი. ვთქვათ, ვისაც 10 ათასი აქვს თვეში, გადასახდელი იქნება 20%, ვისაც 50 ათასი აქვს და უფრო მეტი თვეში შემოსავალი, 30% იქნება გადასახდელი.

– ეს შემოწმებული ნებაყოფლობით არ იქნება?

– ეს მთავრობის აქტივით იქნება გადაწყვეტილი. სერიოზული რამ არის ამ წინადადებას განხილვა. პასუხი იქნება ლიბერალური, რომ ეს ეკონომიკური თავისუფლებას ზღუდავს, რადგან ჩვენი გზაა ეკონომიკური თავისუფლების აქტი, მამბ...

შაობენ და ხალხისთვის მოქმედებენ. ახლა სხვა დილემა – თანასწორობა თუ თავისუფლება. სხვა გამოსავალი არ არის, თავისუფლების შეზღუდვა მოუწევთ, აქ ვგულისხმობ ეკონომიკურ თავისუფლებას და მდიდრებს მოუწევთ მეტი სოლიდარობის გამოჩენა. კიდევ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რაშიც ვიზიარებ ამ მთავრობის პოზიციას, ეს არის ანტიკრიზისული გეგმის მომზადება, რომელიც ჩართული იქნება სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები, მოხდება ინტელექტუალური რესურსის მობილიზება და, რაც მთავარია, ორიენტაცია იქნება ჩვენი ეკონომიკის სტრატეგიულ გადაწყვეტაზე.

– რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ჯერ კორონას პანდემია გადავლილი არ არის და ცალკეული ადამიანები საქართველოში უკვე ამბობენ, რომ, როგორც კი ჩავივლით ეპიდემიას, მაშინვე დაიწყო ტურიზმის აღორძინებას. რამდენად სწორია ეს გადაწყვეტილება, როცა ცივილიზებული მსოფლიოც აღარ ფიქრობს ტურიზმის განვითარებაზე?

– ტურიზმში დიდი დარტყმა მიიღო და მას დახმარება საჭიროება, ცხადია, ტურიზმის სექტორი არ უნდა მოკვდეს, მაგრამ ორიენტაცია და სტრატეგია, რომ ისევე ტურიზმს ვავითარებთ, გადასახდელია. ამის შესახებ ითქვა კიდევ, რომ „ანარმოდ საქართველოში“ პროგრამა გადაეწყობა და ორიენტირებული გახდება მრეწველობის განვითარებაზე, რომელიც შიდა ბაზრის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს ისეთ სექტორებში, რასაც ახლა ვვიცულობთ. როცა ქვეყანა სურსათის 80%-ს ყიდულობს და მხოლოდ 20%-ია შიდა წარმოება, ამ კრიზისის ვითარებაში დიდი რისკია, მიწვევადი გახდეს ყველაფერი. ყველას საკუთარი თავი გასჭირვებია და არ არის ხელსაყრელი სურსათის გარედან შემოტანა. გაცილებით უფრო ეკონომიკური იქნებოდა შიდა წარმოება, მაგრამ ჩვენი სოფლის მეურნეობა ჯერ ამისთვის მზად არ არის. ამას მნიშვნელოვანი რეფორმირება საჭიროდება, მათ შორის, მინის რეფორმა, თვითმმართველობის განვითარება, კოოპერაციის მხარდაჭერა, ბაზრის რეგულირება, საგარეო დემინგური საქონლისგან დაცვა და პროტექციონიზმის გატარება. უამრავი რამ საჭიროდება, ამას სტრატეგიული დაგეგმვა და განხორციელება უნდა, რაც ხანგრძლივადიან პერსპექტივაშია. ანტიკრიზისული გეგმა და პროგრამა საჭირო, თუ რა უნდა გაკეთდეს წელს. დიდი იმედით მაქვს, როგორც გახარიათ თქვა, მისი დანაპირები შესრულდება.

– ასეთი შეფასებებიც ისმის, უკვე ხვანთესვის პერიოდი და რატომ აგვიანებს მთავრობა?

– მთავრობა ვერ მოხნავს და ვერ დათესავს, ეს უნდა გააკეთოს იმ ხალხმა, ვინც სოფლის მეურნეობითაა დაინტერესებული. უბრალოდ, მთავრობამ უნდა გააკეთოს თავისი საქმე – მიწათსარგებლობის საკითხები, მინის მართვის სისტემა უნდა შექმნას. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რა მოთხოვნა გვაქვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე და რისი დაკმაყოფილება შეგვიძლია ჩვენი პოტენციალით. წესიერად ისიც არ ვიცით, რამდენი გვაქვს სახნავი, ბალი, ბოსტანი, ვენახი, რათა სტრატეგიულად დაიგეგმოს რა და რამდენი დაგჭირდება. დღევანდელი სოფლის მეურნეობა, რომელიც წვრილ-წვრილი ნატურალური მეურნეობებისგან შედგება, აგროსამრეწველო ინდუსტრიად უნდა ვაქციოთ. ეს არ არის იოლი ამოცანა, მაგრამ გასაკეთებელია.

ესაუბრა  
მანანა ნოზაძე

# მარაზმატიკული ლიბერალების კლასტერი და რეალობა

მოქმედებს. კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის გაყიდვა აკრძალულია).

მარაზმატიკული ლიბერალიზმის კლასტერის წარმომადგენლების აზროვნების მდაბიო გამოვლინება, ერთი ერთში იმეორებს იმ „მწარე“ ბოლშევიკების აზროვნებას. ისინი ხედავენ, რომ მათი ფაფხური ეკლესიის და საერთოდ ყველაფერი ქართულის წინააღმდეგ, არის მხოლოდ და მხოლოდ რკინიგზის ხაზის აყრის სურვილი, ან ლურსმნით ავტომობილის გაკანწრა. ხედავენ, რომ ბოლშევიკების გამწარების მეტი არაფერი შეუძლიათ და თავიანთ ვინაობა აზროვნებას იმით იკმაყოფილებენ, რომ ხამალა გამოხატავენ მომხდარი ცუდი ამბით გამოწვეულ სიხარულს, რომელიც ზუსტად ჰგავს იმ თხის ალტაცებას, რომელმაც მგლის სიკვდილი გაიგო.

კი ბატონო, გახდა მღვდელი ავად. გახდა და რა მოხდა ამით? საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არსებობა შეწყვიტა, ქართული ენა გაქრა და დედა-მინაზე გირჩი ზურაბას, ვაჭარაძის და სალაქე-გიაგორის დიქტატურა დამყარდა? ის მამო მორჩება, სხვებიც დაამარცხებენ ვირუსს, ეკონომიკაც გაიმართება წელში, ევროპის ჩემპიონატიც ჩატარდება კალათბურთში, კონცერტებიც იქნება, ტალახაძეც აწვევს შტანგებს და ბევრი სხვა კარგი რამ მოხდება, მაგრამ თქვენ არაფერი გეშველება.

კი, ასეთი პატარა „სიხარულები“ გექნებათ, მაგრამ იმაზე მეტხანს არ გაგრძელდება, რამდენი ხანიც ანთებული ასანთის ღერი ძლებს. დედას გეფიცებით, ლოცვა რომ ვიკოდე, თქვენზე ვილოცებდი, მაგრამ არ ვიცი და უბრალოდ ვიტყვი – ღმერთო, შენ უშველე ამ გაჭირვებულებს.

როცა ხელისუფლება აკეთებს იმას, რაც უნდა გააკეთოს და არ უკმენს ვიღაც „სწრაფი ტესტების“ ბარგიებს, ვიღაც ტიპებს, რომლებმაც რამდენიმე წლის განმავლობაში ანაკლიაში ერთი ბოძიც ვერ ჩაარჩეს, სამოქალაქო საზოგადოების „ვიღაც მშენებლებს“, რომლებიც თავიანთი უაზრო „მონიტორინგით“ ხელის შეშლის მეტს არაფერს აკეთებენ და სხვა მსგავს მდაბიო შარლატანებს, საქმე რეალურად კეთდება და ამას მარტო ჩვენ ვი ვართ, ჩვენი უცხოელი პარტნიორებიც ხედავენ. გადანყდა, რომ 3 000 000 000 დოლარი (სამი მილიარდი დოლარი) ჩვენს წამოვ!

წერილს კი ერთი „საინტერესო“ შეკითხვით დავასრულებ: ნეტა კორონაცები იმ 30 ვერცხლიდან, რომელსაც შედამ იღებენ, დღე-ში რამდენ პროცენტს იხდიან?

გიბა ბაბრიძე



პებს, ყველაფერი კარგად ექნება და თუ პირიქით მოიქცევა, დადგება ის შედეგი, რაც ასეთ შემთხვევაში დგება.

მოკლედ რომ ვთქვა, ამ გამოსვლამ ბევრი „ი“-ს თავზე დასვა წერტილი. დასვა წერტილი იმ მარაზმატიკული ლიბერალიზმის კლასტერის წარმომადგენლებიდან დაწყებული, რომლებიც რელიგიურ რიტუალს „კოვზის ტლაკვას“ უწოდებენ, იმ მენტალური პრობლემებით დამთავრებული, რომლებიც ე.წ. „ოპოზიციური“ სპექტრის იმ წარმომადგენლებს აქვთ, ვინც კალაძის სახლში ბუცების პოვნას კომპრომატად თვლის.

„მწარე“ ბოლშევიკებს ჰქონდათ ასეთი პრინციპი – უნდა სკულპო-დათი ყველაფერი, რაც მიწის დროს, ან ბურჟუაზიის მიერ იყო შექმნილი და უნდა გაინადგურებინათ.

იყო შემთხვევა, როცა ასეთმა ტიპებმა ლენინგრადი-მოსკოვის რკინიგზის აყრა და მისი ხელახლა გაყვანა მოითხოვეს, რადგანაც მეფის დროს იყო დაგებული და იყო ბრძანება, თუ ბოლშევიკი დაინახავდა ავტომობილს, ან რაიმე ლამაზ ნივთს, რადგან კაპიტალისტების შექმნილი იყო, ლურსმნით უნდა გაეკანწრა, ან დაემტვრია. (ეს პრინციპი დღეს ჩრდილოეთ კორეაშიც

ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ ვიტყვი, რომ საქართველოში კარგა ხანია არსებობს მარაზმატიკული ლიბერალების კლასტერი, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია აგრესიულად იმ ყოველად საშიშ ვირუსს, რომელიც ცდილობს გაანადგუროს ყოველგვარი ქართული, ყოველგვარი ადამიანური, ყოველგვარი წმინდა.

ჩვენ კარგად ვიცით ამ კლასტერის წარმომადგენლების „მოღვაწეობის“ ავან-ჩა-ვანი და მათი მთავარი მიზანი – გაანადგურონ ქართული სახელმწიფო და თავიანთ მანიაკალურ ვნებებს დაუქვემდებარონ ჩვენი მომავალი.

სამშაბათს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემაში „ლია ეთერი“, ლაშა ნაცვლიშვილმა ოლიმპიური სიმშვიდით გამოუსვა ცელი იმ ავადსახსენებელი „კლასტერის“ წარმომადგენლებს და ფაქტობრივად განმარტა ყველა ის ნიუანსი, რაც ფაქტობრივად ყველა ჩვენგანს გვანახებდა.

მისი გამოსვლიდან ერთ ყველაზე სენსიტიურ ფრაზას მივაქციე ყურადღება – დიდი ელექტორალური ფასი გადაიხადა „ქართულმა ოცნებამ“ და ბიძინა ივანიშვილმა კოპაბიტაციის დაშვებისთვის. მაგრამ ის დრო რომ მოტრიალდეს, დარწმუნებული ვარ ისევ ისე იზამდა და ის ერთადერთი სწორი გზა იყო. რადგან მხოლოდ ასე იკურნება სენი, რომელიც ჩვენ შევიყარეთ.

მართალი გითხრა, პირადად მე საკუთარ თავს „მშვიდობიან მოქალაქედ“ ნამდვილად არ ვთვლი, არც „ქართული ოცნების“ მიერ გადახდილი ელექტორალური ფასი მინტერესებს, ბევრჯერ გამიკრიტიკებია კიდეც და რადიკალურ ზომებსაც ვითხოვდი, მაგრამ დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს ასეა.

პირველი და უმთავრესი ის არის, რომ ქართველებს ე.წ. რევოლუციური რადიკალიზმი არასდროს გექნოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას, აბსოლუტურად ყველას, ვინც ნაცვლებთან იყო აფილირებული განურჩევლად იმისა, რიგითი ჩინოვნიკი იყო ის თუ უბრალოდ „წვიმის მუსიკოსი“, სასტიკად უნდა გაესწორებოდათ. ჩვენ კი ამას არ ვაკეთებთ და უფრო მეტიც – ხშირად გვსმენია და გვითქვამს – ვის რა ჯანდაბად უნდა მათი დასჯა, გამოვიდნენ და მოინანიონ (ცხადია, მანიაკ-მოძალადეებზე არ ვაბობ).

**რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, მან ელექტორალური ფასის გადახდა საპარლამენტო დაიწყო და ის პირუსი, რომელიც მას 2012-ში შეეხარა, ნელ-ნელა ზედმეტი ბაცილიანი მოიშორა (როდესაც პოლიტიკაში „გაყვითის საპარლამენტო“ და საპარლამენტო მისული ტიპებისგან გამოიშორდა და დაიწყო).**

ბევრჯერ დამინერია, რომ პანდემიამ პოლიტიკურ ლუსტრაციაში უდიდესი როლი შეასრულა და ამიტომ აღარ გავიმეორებ თუნდაც იმიტომ, რომ შედეგს თქვენ თავადაც კარგად ხედავთ.

თუ „ქართული ოცნება“ გამოჯანსაღების გზაზე დამდგარი ადამიანის მსგავსად არ მიიტმანის ვირუსის მატარებელ ტი-

**ლაშა ნაცვლიშვილი:**  
**ამ დანაშაულებრივ, მანებლურ პოლიტიკურ ძალას სურს ხელისუფლებაში დაბრუნება. დღევანდელი საზოგადოებრივი, ცივილიზაციული კონსენსუსით, რომელიც შეიქმნა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც, მათი ადგილი ხელისუფლებაში არ არის, ანუ უნდა მოხდეს რაიმე ისეთი ტიპის ტექტონიკა, რომელიც ახალ წესრიგს დაამთავრებს, იმიტომ რომ ძველ წესრიგშიც კი, როდესაც რაღაცები დაზიანებული იყო, მაშინაც ვერ ახერხებდნენ კონსტიტუციური გზით და ამიტომ სულ გადატრიალებაზე ლაპარაკობდნენ და გაგმავდნენ”, – აღნიშნა ნაცვლიშვილმა.**

მისივე თქმით, ეს მათი ბიძინა ივანიშვილის მიერ stopcov ფონდში 100 მილიონი ლარის გადარიცხვის ფაქტის შეფასებისას გამოჩნდა.

„როდესაც COVID-თან ბრძოლის ფონდში ივანიშვილმა ჩარიცხა 100 მილიონი ლარი, მართლაც ვფიქრობდი, რას დაუპირისპირებენ ამას და ყველაზე დიდი სისუ-

**ლაშა ნაცვლიშვილი:**  
**ამ დანაშაულებრივ, მანებლურ პოლიტიკურ ძალას სურს ხელისუფლებაში დაბრუნება. დღევანდელი საზოგადოებრივი, ცივილიზაციული კონსენსუსით, რომელიც შეიქმნა ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთაც, მათი ადგილი ხელისუფლებაში არ არის, ანუ უნდა მოხდეს რაიმე ისეთი ტიპის ტექტონიკა, რომელიც ახალ წესრიგს დაამთავრებს, იმიტომ რომ ძველ წესრიგშიც კი, როდესაც რაღაცები დაზიანებული იყო, მაშინაც ვერ ახერხებდნენ კონსტიტუციური გზით და ამიტომ სულ გადატრიალებაზე ლაპარაკობდნენ და გაგმავდნენ”, – აღნიშნა ნაცვლიშვილმა.**

**მამუკა გვინაბაძე: პოლიტიკა და პოლიტიკოსი არ უნდა ჩაერიოს მართლმსაჯულებაში...**

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს რომ გულწრფელად ეპასუხათ თქვენს შეკითხვაზე, უნდა ეთქვას, რომ რა პრობლემა (პოლიტიკოსმა), უნდა აიღოს და დარეკოს მოსამართლესთან, იმიტომ, რომ მათთვის ნორმა იყო ეს თავის დროზე. ხანდახან დარეკვაც არ სჭირ-

დებოდათ და ხანდახან ურეკავდნენ სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად. დღეს ეს არ ხდება საბედნიეროდ და არც არასდროს მოხდება”, – ასე უპასუხა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა, პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მამუკა გვინაბაძემ ტელეკომპანია „რუსთა-ვი-2“-ის ეთერში დასმულ შეკითხვას ირაკლი ოქრუაშვილის საქმესთან დაკავშირებით.

მამუკა გვინაბაძის განცხადებით, შეთანხმება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შედეგობა ორი პუნქტისგან. ერთი შეეხებოდა 120/30-ს და შერეულ სისტემას და საკითხს იმის თაობაზე, რომ პოლიტიკა არ უნდა შევიდეს და არ უნდა ჩაერიოს მართლმსაჯულებაში.

„როდესაც მთელი ცივილიზებული სამყარო და დემოკრატიული საზოგადოება მოგვიწოდებს, რომ მართლმსაჯულებაში არავინ უნდა ჩაერიოს და არანაირი ნიშანი არ უნდა იყოს ვინმეს ჩარევის, მაშინ ესენი ჩვენ გვთხოვენ მართლმსაჯულების მისაღები გადაწყვეტილების შედეგთან დაკავშირებით პასუხისმგებლობის აღებას. წარმოუდგენელი ამბავია. ვერასოდეს აიღებს პოლიტიკოსი მოსამართლის, პროკურორის მაგივრად პასუხისმგებლობას. ეს შეუძლებელია, რაც არ უნდა განცხადებები გაკეთდეს. ჩვენი მხრიდან უზრუნველყოფილი იქნება ის, რომ ჩვენ არ ჩავერევით. შეთანხმება ამ თემაზე მიღწეული იყო ის, რომ პოლიტიკა და პოლიტიკოსი არ უნდა ჩაერიოს მართლმსაჯულებაში. ეს არის შეთანხმების ნაწილი და ეს შეთანხმება აღსრულდება. თუ ვინმე ამბობს, რომ იქ საუბარი იყო კონკრეტული პირების გათავისუფლებაზე, ეს არის ცალსახად ტყუილი”, – განაცხადა მამუკა გვინაბაძემ.



# ნანა ჩაჩია: კაცობრიობა საკუთარ თავს უნდა უთხრას „დიას“!

არჩევანი არჩევანის გარეშე!

პირსის გავრცელებამ მოულოდნელად შეცვალა ადამიანების ცხოვრების წესი. როგორ ვმართოთ სტრესი თვითიმობის დროს იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდა პანიკური შეტევის ფაქტები სრულიად ჯანმრთელ ადამიანებში და როგორ შეიძლება ამის პრევენცია? აღნიშნულ პრობლემებზე ფსიქოლოგი ნანა ჩაჩია გვესაუბრება:

— ძალბატონი ნანა, თვითიმობის თანმდევი პროცესი გახდა სტრესი, რასთან გამკლავებაც თითოეულ ადამიანს უნდა, თქვენ, როგორც ფსიქოლოგი, რას ურჩევთ ადამიანებს, როგორ ვმართოთ საკუთარი თავი თვითიმობის დროს?

— აღმოსავლური ლოცვა ასეთი: ღმერთო მომეცი ძალა, რათა შევცვალო ის, რაც ჩემი შესაცვლელია; ღმერთო მომეცი გამძლეობა, იმისთვის, რათა შევეგუო იმას, რისი შეცვლაც მე არ შემიძლება; ღმერთო მომეცი გონება, იმისთვის, რომ მივხვდეთ, რა არის ჩემი შესაცვლელი და რა — არა.

თვითიმობაში ყოფნის აუცილებლობის ცნობიერება სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ სიმშვიდეში ამყოფო შენი თავი და შენ ირგვლივ მყოფებიც. თვითიმობა, გარკვეულწილად, ცხოვრების წესის შეცვლასაც გულისხმობს. ცხოვრების წესის შეცვლას კი, რა დონის სირთულის მატარებელიც არ უნდა იყოს ის, ადამიანის შემგუბლური ბუნებიდან გამომდინარე, საბოლოოდ ყველა მიმდებლობს მაინც. უფრო მეტიც, უმეტეს შემთხვევაში, ახალი გამოცდილებები შემოქმედებით აქტივობებსაც ამრავლებს. დიას, ახალი რეალობა ახალი შესაძლებლობების აღმოჩენისა და საკუთარი თავის უკეთ შეცნობის საშუალებასაც იძლევა.

თვითიმობაში საკუთარი თავის მართვა თვითიმობის აუცილებლობის ცნობიერებით იწყება. ამჟამად თვითიმობა დაინფიცირებისგან თავის დასაცემად გავრცელებული პირობაა. მინდა, შემოძლია, საჭიროა ავაცილო ჩემს თავს და ჩემ ირგვლივ მყოფებს ვირუსი? თუ ეს სამი ნაწილი, ანუ მინდა, შემოძლია და საჭიროა თანხვედრაშია, მაშინ არა მხოლოდ თვითიმობაშია, არამედ ნებისმიერ ცხოვრებისეულ ვითარებაში შეძლებ სიმშვიდით გააკეთო ის, რაც შენი გასაკეთებელია.

დიას, დაუსვი შენ თავს კითხვა: მინდა, შემოძლია, საჭიროა, რომ არ დაინფიცირო თავი და არც ირგვლივ მყოფთათვის გაეხდეს სახიფათო? — არჩევანი ჩვენზეა!

— რამდენად შეიძლება პანდემია გახდეს სტრესის გამომწვევი?

— სტრესი ადამიანის ცხოვრების ნაწილია. იგი ყოველთვის არ განიხილება როგორც ნეგატიური რამ. იგი ხშირად ხდება ქცევის მორგებისთვის და კონსტრუქციული მოქმედების მასტიმულირებელი. ეს ის შემთხვევაა, როცა რელიგია განსაცდელს, როგორც მაღლს, ისე რომ განიხილება.

პანდემია, ცხადია, სტრესორად ჩაითვლება, რადგან ვირუსს, რომელიც პანდემიის საფუძველი გახდა, არ ვიცნობთ, არ ვიცით მისი ბუნება, ჯერ კიდევ არ გვაქვს შესაბამისი მედიკამენტები, ვაქცინა. მეცნიერები, მართალია, დაუღალავად მუშაობენ ამ მიმართულებით, მაგრამ დრო ძლივს ითმენს. მთელი მსოფლიო მოლოდინშია. ვიცით, მხოლოდ ვირუსის გავრცელების მახასიათებლები და სიმპტომები, რომელიც საკმაოდ არასტანდარტულია და რთული, რადგან ვრცელდება უსწრაფესად

და სიმპტომებიც არაერთგვაროვნად ვლინდება. ერთ შემთხვევაში თუ ერთია, მეორე შემთხვევაში — მეორე, მესამე შემთხვევაში ორივე ერთდროულად — სამი სხვადასხვა ტიპის სიმპტომია ერთდროულად გამოვლენილი და ა.შ.

სტრესორის ფაქტორივი მოცემულია ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ერთიანად აღმოჩნდეს სტრესულ მდგომარეობაში. ერთია, სტრესის გამომწვევის არსებობა და მეორეა, მის მიმართ ჩვენი ფსიქიკური მდგომარეობა. კაცობრიული გამოცდილებაც და მეცნი-



ერული კვლევებიც ადასტურებს, რომ გადამწყვეტია არა ის, რაც არის, არამედ როგორია ჩვენი დამოკიდებულება არსებულის მიმართ.

მძიმე, გაუსაძლის სიტუაციასთან შეჯახება უმრავლეს შემთხვევაში, უბიძგებთ ადამიანებს, გადააფასონ ღირებულებები და ახლებურად შეხედონ ცხოვრებას.

სტრესის მართვა, თუნდაც ის მატრამპირებული სტრესის კატეგორიას მიეკუთვნებოდეს, ყველა შემთხვევაშია შესაძლებელი. ხოლო, რაც შეეხება ამჯერად არსებულ პანდემიასთან დაკავშირებულ სტრესულ მდგომარეობებს, ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ იგი გადავაქციოთ ჩვენი ცხოვრების ახლებურად აწყობის მასტიმულირებელ ძალად.

1. გავიხსენოთ წარსულიდან რაც კარგი რამ გავიცავთ, მათ შორის ერთი შეხედვით, უმნიშვნელოც კი, ადრეული ბავშვობიდან დღემდე, როდის რა სიხარული გავიცავდით.
2. დავათვალიეროთ წარსულის დადებით მოგონებებთან დაკავშირებული ფოტოები, ვიდეოები.
3. დავურევოთ, შევხვდეთ ძველ მეგობრებს, ახლობლებს, რომლებთანაც პოზიტიური მოგონებები გვაკავშირებს.
4. მოვუსმინოთ ლად, მხიარულ მუ-

სიკას. ვნახოთ სახალისო ფილმები, კომედიები.

5. გავაფართოოთ და გავაღრმავოთ კომუნიკაციები.

6. საკუთარი გამოცდილებით ყველამ ვიცით, თუ რა სახის ინფორმაცია, რომელი სატელევიზიო გადაცემა იწვევს ჩვენში დისკომფორტს. უარი ვუთხრათ ასეთ გადაცემებს.

7. პოლიტიკურ დაპირისპირებაში, პერსონალურ განქიქებაში ნურსად ნურავისთან ნუ ჩაერთვებით. ნებისმიერ ნეგატიურ პოსტს, კომენტარს ნუ გამოვცხადებთ, დავტოვოთ ყურადღების მიღმა.

და ჩვენ შევძლებთ ობიექტურად, მშვიდად აღვიქვათ, გავიგოთ და გამოვსაჯოთ არსებულის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება. მივხვდეთ და ვიმოქმედოთ იმის შესაბამისად, რასაც ითხოვს კონ-

კრეტული სიტუაცია ჩვენგან. ანუ ვიმოქმედოთ პრინციპით: „აქ და ამჟამად“. აქედან გამომდინარე, ჩვენი ყოველი სიტყვა, ჩვენი ყოველი მოქმედება იქნება გამოხატული სოციალურად მისაღები ფორმით და ეს იქნება ის, რაც გავცინეიტრებს დაძაბულობას. რაც განგვაცდევინებს საკუთარი თავის მნიშვნელობას.

ავტონომიურობის, კომპეტენტურობისა და მიკუთვნებულობის მოთხოვნილებათა რეალიზაცია ადამიანის ცხოვრების ძირეულ შინაარსს ქმნის. დღეს კაცობრიობა ერთ პატარა სახლში აღმოჩნდა და ამ სახლს დედამიწა ჰქვია. იმ განსაცდელს, რომელმაც ასე გააერთიანა ყველა და ყველაფერი, მასში ჩართუ-

ლობა, მასთან ზიარება, მასთან მიკუთვნება სამყაროში არსებულ ყველა საგანსა და მოვლენას თავის კუთვნილ სახელს დაგარქმევინებს.

— პანდემიას, გარდა იმისა, რასაც ვხედავთ, შეიძლება, კიდევ რაიმე პრობლემები მოჰყვეს?

— IQ-ს უმაღლესი დონის გამოვლინებები სახეზეა. მისმა შედეგებმა საკმაო ხანია, რაც სასურველობის საზღვარს სახიფათოდ გადააბიჯა და ადამიანი წმინდა მომხმარებელი არსებობდა გადააქცია. ვერა და ვერ დააბალანსა ადამიანი მატერიალურისა და სულიერის მიმართება. დაირღვა მათ შორის არსებული პროპორციული თანაფარდობა და ოქროს, ფულის, სიხარულის ღმერთს მიეცა ასპარეზი. უმაღლესი ცნობიერების ინსტანციიდან ხედვა, „აზრის პოლიციამ“, ანუ ამჯერად ფულმა, ცხრაკლიტულში ჩაკეტა და შურჩა პატიოსნება ისტორიის გადაყვითლებულ ფურცლებს. ემოციური ინტელექტის (EQ) წილი თავის კუთვნილ ადგილს ითხოვს. მისი გაძევება პოლიტიკიდან, ეკონომიკიდან, კულტურიდან, სოციალური ცხოვრებიდან თვითგანადურების უმონყალო აქტია და სხვა მეტი არც არაფერი. პასუხისმგებელი, ანუ უმაღლესი ინსტანციის ცნობიერება, ვერც ინდივიდუალურ და ვერც ცალკეული ქვეყნების დონეზე, ვერ გაუმკლავდება ვერც დღევანდელ ამ ვირუსს და ვერც მომავლის კოვიდებს. გლობალიზაციის აუცილებლობა, რომელსაც დედამიწაზე ყველგანმავალი ფული, ერთიანი ენა თუ დემოკრატია ვარაუდობდა, COVID-19-ის წყალობით, მყისიერად შეცვალა უმაღლესი ინსტანციის მქონე ერთიანი კაცობრიული ცნობიერების აუცილებლობამ, რომელიც სიცოცხლის, ანუ დედამიწაზე არსებულ ყოველი ადამიანის, მინის, წყლის, ფლორისა თუ ფაუნის მიმართ იქნება პასუხისმგებელი. აუცილებლობის ვექტორი სიცოცხლისკენაა მიმართული. კაცობრიობამ საკუთარ თავს უნდა უთხრას „დიას“. ეს ვექტორ ფრანკლისეული უკანასკნელი თავისუფლება! არჩევანი არჩევანის გარეშე!

ესაუბრა შორანა გონგლაძე

**აჭარის მუნიციპალიტეტში საბუნებისმეტყველო საშუალებები შეუფერხებლად მიმდინარეობს**

**ფარმაცეუტული მეურნეობებში ინტენსიურად გრძელდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავება.**

სულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძორში სასოფლო-სამეურნეო საშუალებების განხორციელების პროცესს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ხულოს მერთან ერთად გაეცნო.

„სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავება აქტიურ ფაზაშია. მიმდინარეობს ხენისა და თესვის სამუშაოები აგროვადების სრული დაცვით. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, შემჭიდროვებულ ვადებში მოხდეს სამუ-

შაოების განხორციელება, რაც საბოლოოდ აისახება მოსავლის ხარისხზე და რაოდენობაზე“, — განაცხადა აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ტიტე აროშიძემ.

**დააპტილი სოფლების მოსახლეობას მოგილური ბაზრები ემსახურება**

ძობულითის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში — გვარაში, მუხანსტატიში, ლეღვასა და წყავროკაში, სადაც მკაცრი საკარანტინო პირობები მოქმედებს, გასული დღეების მსგავსად, ფუნქციონირებას განაგრძობს ე.წ. მოგილური ბაზრები. მოძრავი ბაზრები ოთხივე ადმინისტრაციულ ერთეულში დილიდან მოძრაობენ. მოსახლეობას საშუალება აქვს შეიძინოს ბოსტნეული და ხილი.

ბაზრების ფუნქციონირებას მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს სურსათის ეროვნული სააგენტო. მოხდება სოფლებში არსებული სასურსათო მაღაზიების შევსება პროდუქტებით. როგორც მაღაზიის მფლობელები აცხადებენ, მათ სასურსათო მარაგი აქვთ. გარკვეულ პროდუქტზე დეფიციტის შემთხვევაში, ისინი ქობულეთის მერიასთან არიან კომუნიკაციაში.



# სუთი ქვეყანა, როგორც ეკონომიკას პირველი აღადგენს

ამსტრამ ევროპაში პირველი ქვეყანა აღმოჩნდა, რომლის მთავრობამაც ახალი კორონავირუსის გამო დაწყებული მკაცრი შეზღუდვების მოხსნის შესახებ განაცხადა. ჯერ გაურკვეველია, ვინ მიბაძავს ავსტრიის მაგალითს. თუმცა ცხადია, რომ ნორმალურ ცხოვრებასთან დაბრუნება იოლი არ იქნება. ამის შესახებ „ბიბისი“ წერს.

„ბიბისი“ სტატიის თანახმად, ექსპერტები უკვე პროგნოზირებენ, როგორ იქნება მსოფლიო, როდესაც კორონავირუსის ეპიდემიის გავრცელება შესაძლებელი გახდება და რო-

მელი ქვეყნები შეძლებენ ეკონომიკურ რეცესიის სწრაფად აღდგენას. სტაგიაში აღნიშნულია, რომ „კოვიდ-19“-ის პანდემიამ მსოფლიო კიდევ უფრო არაპროგნოზირებადი გახადა. სახელმწიფოები ინფექციასთან გამკლავების მცდელობისას სერიოზულ ზომებს იღებენ. მათ შორის არის ფინანსური ჩარევა, რათა ბაზრების სტაბილიზაცია მოხერხდეს.

სადაზღვეო კომპანია „ეფემგლობალის“ მიერ შედგენილი „2019 წლის ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსის“ მიხედვით, მსოფლიოში ყველაზე მდგრადი ეკონომიკის მქონე ქვეყ-

ნების ათეული ასე გამოიყურება: ნორვეგია; დანია; შვეიცარია; გერმანია; ფინეთი; შვედეთი; ლუქსემბურგი; ავსტრია; აშშ-ის ცენტრალური შტატები; დიდი ბრიტანეთი.

„ბიბისი“ ამა თუ იმ ქვეყნის რეიტინგი იმ ზომებს შეუსაბამა, რომლებიც სახელმწიფოებმა პანდემიამდე საპასუხოდ გაატარეს.

„შესაბამისად გამოვყავით სახელმწიფოები, რომლებიც კრიზისის პერიოდში, დიდი ალბათობით, ყველაზე უკეთ შეინარჩუნებენ ეკონომიკის სტაბილურობას და მდგრადობას“, — ნათქვამია სტაგიაში.

და და შედეგ, წლის მეორე ნახევარში, სწრაფი აღდგენა ელოდება. ოპტიმისტურად არიან განწყობილი „მაქტინზის“ ექსპერტებიც, თუმცა მათი პროგნოზი შედარებით თავშეკავებულია. „ბიბისი“ აღნიშნავს, რომ აშშ-ის ეკონომიკის მდგომარეობა ყველა სხვა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია, რადგან ამ ქვეყნის ეკონომიკა მსოფლიოს შიდა პროდუქტის მეოთხედს წარმოადგენს. ასე რომ, გლობალური ეკონომიკის აღდგენა დიდწილად აშშ-ზეა დამოკიდებული.

„ზოგადად რომ ვისაუბროთ, აშშ-ის ეკონომიკა, ყველა სხვა ქვეყნებთან შედარებით უკეთეს პირობებშია და უფრო მეტი ბერკეტი აქვს კრიზისის დასაძლევად. ქვეყნის მოსახლეობა უფრო ახალგაზრდა და მობილურია. შრომის ბაზარზე შეზღუდვები, როგორც წესი, უფრო ნაკლებია, რაც სამუშაო ძალის სწრაფად გადართობას შეუწყობს ხელს“, — აცხადებს ნოტრდამის კერძო უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი ერიკ სიმსი. ასევე, „ბიბისის“ აღნიშნავს, რომ ბევრმა ექსპერტმა კრიზისის დროს აშშ-ში საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის არარსებობა მკაცრად გააკრიტიკა და ეს პრობლემა უნდა გადაიჭრას, თუ ქვეყანას სურს, რომ მომავალში პანდემიებისგან დაცული იყოს.

„ვიქრობ, საბოლოო ჯამში, ამ კრიზისის შემდეგ მთელი მსოფლიო გაძლიერდება. თუმცა, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გავრცელებებს ვისწავლით და რას გავითვალისწინებთ“, — აცხადებს რატგერის შრომითი ურთიერთობებისა და მართვის სკოლის წარმომადგენელი, ეკონომისტი და ისტორიკოსი მაიკლ მერილი.

## რუსნა

ქორწინებულ მართვაში პროგრესული ნაბიჯების გადადგმის შედეგად, რუსნა ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსში გასულ წლებში დაინაწილა. აფრიკულ ქვეყნებს შორის რუსნა მეთხუთსედი ადგილს იკავებს.

„ბიბისის“ სტატიის თანახმად, ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ რუსნას პანდემიასთან ბრძოლის გამოცდილება აქვს. რუსნას მთავრობამ 2019 წელს ებოლას გავრცელება აიცილა თავიდან. ეს იმ პირობებში მოხდა, როდესაც მეზობელ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამ დაავადების ეპიდემიები იყო. ჯანდაცვის საყოველთაო სისტემა, სასაზღვრო უწყვეტობა მოქალაქეების ტემპერატურის მუდმივი კონტროლი, დროების გამოყენება მედიკამენტების გადასატანად — ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ რუსნა მზადაა, კრიზისის დროს სტაბილურობა შეინარჩუნოს.

„ბევრი სტუდენტი, ისეთი, როგორც მე ვარ, რუსნაში დარჩა, რადგან ჩვენ დარწმუნებული ვართ, რუსნას მთავრობა სიტუაციას იმაზე უკეთ გაუმკლავდება, ვიდრე ამას ჩვენ მშობლიურ ქვეყნებში გააკეთებენ“, — განაცხადა აფრიკელმა სტუდენტმა გარნეტ აჩინგამა.

საპარის ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებს შორის რუსნა პირველი აფრიკული სახელმწიფო იყო, რომელმაც სრული კარანტინი შემოიღო. ყველაზე დაუცველი მოქალაქეებისთვის საკვები სახლებში მიაქვთ. მიუხედავად იმისა, რომ რუსნას ტურისტული სექტორი მნიშვნელოვნად დაზარალდა, მოქალაქეებს იმედი აქვთ, ქვეყანა ცხოვრების ჩვეულ რიტმს სწრაფად დაუბრუნდება.

## ახალი ზელანდია

„2019 წლის ეკონომიკური უსაფრთხოების“ ინდექსში ახალი ზელანდია მე-12 ადგილზეა. ქვეყანას განსაკუთრებით აქვთ კორპორაციული მართვის და მომარაგების ჯაჭვის სტაბილურობის გამო. „ბიბისი“ განმარტავს, რომ ამ ქვეყნის მთავრობამ ასევე სწრაფად მიიღო საგანგებო ზომები. 19 მარტიდან კი, მეორეხარისხოვანი საწარმოების მუშაობა შეჩერდა.

„ჩვენ კუნძულოვანი სახელმწიფო ვართ და საზღვრების კონტროლი უკეთ შეგვიძლია“, — აცხადებს ოკლენდის მცხოვრები, ეკონომისტი შამიზულ იკუბი.

მკაცრმა ზომებმა ახალ ზელანდიაში შედეგი უკვე გამოიღო. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, თუ მოქალაქეების წესების დაცვას შეძლებენ, ახალი ზელანდია ეპიდემიის აღმოფხვრას უახლოეს რამდენიმე კვირაში შეძლებს და ერთ-ერთი პირველი ქვეყანა გახდება, რომელიც ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება. თუმცა, ექსპორტი და ტურიზმი ახალი ზელანდიის ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია და ამ მხრივ სირთულეები კვლავ მოსალოდნელია. „ვიდრე იზოლირებული ვართ, ჩვენ მოსამზადებლად გვექნება დრო“, — აცხადებს ქალაქ ოტაგის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი რონ ბული.

„ჩვენ ისედაც შემოფთვებული ვიყავით არაორგანიზებული ტურიზმის გარეშე ზემოქმედების გამო. ამიტომ გვექნება დრო, ვიფიქროთ, რა უფრო მნიშვნელოვანია — ტურიზმის შემოსავალი, თუ ჩვენი ბუნება“, — ამბობს რონ ბული. სტატიის თანახმად, საერთო ჯამში ახალ ზელანდიას ეკონომიკის სწრაფად აღდგენის საუკეთესო შანსი აქვს, რადგან სახელმწიფოს ვალი მცირეა, არსებობს ფულის მასის გაზრდისა და საპროცენტო განაკვეთების დაბალი ნიშნულზე შენარჩუნების შესაძლებლობა.

„ყველაზე მთავარი არის ის, რომ ახალ ზელანდიაში მოქალაქეების მხრიდან მთავრობის ნდობა მაღალია. ეს საუკეთესო საფუძველია ეკონომიკის განახლებისთვის“, — აცხადებს ახალი ზელანდიის მოქალაქე შამიზულ იკუბი.

„ბიბისი“, ITV.GE

## დანია

დანიის „2019 წლის ეკონომიკური უსაფრთხოების“ ინდექსში მეორე ადგილზეა. დანია მომარაგების სისტემის კონტროლის მექანიზმებითა და მმართველ ორგანოებში კორუფციის დაბალი დონით არის გამოჩენილი. „ბიბისი“ წერს, რომ „კოვიდ-19“-ის კრიზისის დასაწყისშივე, დანიის მთავრობამ სწრაფად და ეფექტურად იმოქმედა. ხელისუფლებამ შემოიღო სოციალური დისტანცირება, 11 მარტიდან დასურა სკოლები და მეორეხარისხოვანი კერძო საწარმოები, 14 მარტს კი, დანიაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესვლა აიკრძალა. ეს იმ პირობებში მოხდა, როდესაც დანიაში კორონავირუსის სულ რამდენიმე შემთხვევა იყო გამოვლენილი. ასეთმა ზომებმა უკვე გამოიღო შედეგი და ეს დადასტურებულია.

„შარშანდელთან შედარებით ჩვეულებრივი გრიპით ავადობის მაჩვენებელი 70 პროცენტით არის შემცირებული. ეს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების ეფექტიანობის კარგი ინდიკატორად შეიძლება ჩაითვალოს“, — აცხადებს „ბიბისისთან“ ინტერვიუში ტურისტული სააგენტო „ფისავ ტურის“ მმართველი პარტნიორი რასმუს კრისტიანსენი. ამას გარდა, დანიელები, როგორც წესი, ენდობიან მთავრობას და საერთო მიზნის გარშემო ერთიანდებიან. ამიტომ, ხელისუფლების მიერ მიღებული ზომების ეფექტიანობის ხარისხი გაიზარდა.

„დანიურ მედიაში ახლა პოპულარულია სიტყვა „samfundssind“ (თარგმანში ეს ნიშნავს „სამოქალაქო ვალდებულება“) და ბევრი დანიელი საზოგადოების წინაშე მორალურ ვალდებულებას გრძობს, რომ მთელი საზოგადოების ჯანმრთელობისთვის მსხვერპლია საჭირო“, — ამბობს კრისტიანსენი. „დანიის არავის სურს, რომ ისინი დაადანაშაულონ ისეთ ნაბიჯებში, რომლებიც საფრთხეს შეუქმნის უფროსი თაობის სიცოცხლეს“, — აცხადებს კრისტიანსენი. დანიის მიერ მიღებული მოდელი იაფი არ არის და ის ქვეყანას მთლიანი შიდა პროდუქტის 13 პროცენტით უჯდება. გარდა ამისა, დანიელები ხვდებიან, რომ კორონავირუსის პანდემია მთელ მსოფლიოს ეხება. ამრიგად, მათი ეკონომიკის მდგრადობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გაუმკლავდება შექმნილ მდგომარეობას დანარჩენი სამყარო და როგორ იქნება უზრუნველყოფილი თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი.

„დანიის კარგად არის განვითარებული ფარმაცევტული სექტორი, რაც შესაძლოა, უპირატესობად იქცეს. თუმცა მე არ ვიქნები ამაყი, თუ დანია სხვა სახელმწიფოების უბედურებაზე შემოსავალს მიიღებს“, — აცხადებს კრისტიანსენი.

## სინგაპური

„ბიბისის“ ცნობით, 2019 წლის ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსში სინგაპური 21-ე ადგილზეა. ექსპერ-

ტები მიუთითებენ სინგაპურის ძლიერ ეკონომიკაზე, დაბალ პოლიტიკურ რისკებზე, საუკეთესო ინფრასტრუქტურაზე და კორუფციის დაბალ დონეზე. ამ ქვეყანამ ასევე სწრაფად მიიღო შეზღუდვები ზომები, რის გამოც „კოვიდ-19“-ის გავრცელების ამპლიტუდა სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო დაბალია.

„ჩვენ ვენდობით მთავრობას და ხელისუფლების ნაბიჯები გამჭვირვალეა. როგორც წესი, ჩვენ შეზღუდვების ვიცავთ“, — აცხადებს მონაცემების ანალიტიკოსი კონსტანს ტანი. თუმცა, სინგაპურში არიან ისეთებიც, ვინც თვითიზოლაციის წესებს არღვევს. მათ პასპორტებს ართმევენ და მუშაობის უფლებებს უზღუდავენ.

„საერთო ჯამში ჩვენ ერთობლივად ვმუშაობთ. საზოგადოებაში ამბობის საშიშროებას ვერ ვხედავთ. არც იმის საფრთხე არსებობს, რომ მოქალაქეები ქუჩაში დაიხიციან და ეკონომიკის დესტაბილიზება მოხდეს“, — აცხადებს ანალიტიკოსი.

„ბიბისი“ აღნიშნავს, რომ სინგაპური პატარა სახელმწიფოა და მისი კრიზისიდან გამოსვლა ასევე დამოკიდებული იქნება მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღებაზე. „მჯერა, ამ კრიზისის დაძლევის შემდეგ ჩვენ გაძლიერდებით და, რა თქმა უნდა, დაინერგება ახალი ტექნოლოგიები, რაც სინგაპურელებს ახალ პერსპექტივებს გაუჩენს“, — აცხადებს სინგაპურელი ჯასტინ ფონგი. ბევრი კომპანია სინგაპურში მალევე მოერგო დისტანციური მუშაობის წესებს და პირობებს. მთავრობამ დაწესდა მობილური ტელეფონების აპლიკაცია „თრეის თუგუზერ“, რომელიც ვირუსით ინფიცირებულთა გადაადგილების კონტროლს ემსახურება. ამ აპლიკაციას უამრავი სინგაპურელი იყენებს.

## აპარიკის შიკრიპული შტატები

„2019 წლის ეკონომიკური უსაფრთხოების ინდექსში“ აშშ-ს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს. რეიტინგში ქვეყანა სამ ნაწილად — დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ რეგიონებად არის წარმოდგენილი. სამივე რეგიონს ინდექსში მონაწილე პოზიციები უჭირავს. ვირუსის გავრცელების მხრივ ვითარება აშშ-ში განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა მეგაპოლისებში, მაგალითად, ნიუ იორკში. უმუშევრობის დონე რეკორდულ ნიშნულზეა, რაც იმის გამო მოხდა, რომ ბევრ შტატში თითქმის ყველაფერი დასურულია.

თუმცა, „ბიბისის“ წერს, რომ აშშ-მა სწრაფად მიიღო ეკონომიკის სტიმულირების ზომები. მათ შორის 2 ტრილიონდოლარიანი ანტიკრიზისული პაკეტი. ქვეყანაში მოქმედებს სოციალური დისტანცირება, რამაც გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო. საერთო ჯამში ამ ზომებმა უნდა შეუწყოს ხელი პანდემიის შედეგების სწრაფად აღმოფხვრას და ეკონომიკის აღდგენას.

„გოლდმან საქსის“ და „მორგან სტენლის“ ექსპერტების პროგნოზით, ქვეყნის ეკონომიკას ჯერ მკვეთრი ვარ-



# სურსათი უკვე დღისთვის...

## როგორ იმოქმედებს COVID-19-ის პანდემია მსოფლიოს საკვებით მომარაგებაზე

მხარი დაუჭირონ შიმშილის განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფ მოსახლეობას და ინვესტიციებით დაეხმარონ ადგილობრივ წარმოებას.

### ვის მოკლავს მოსაკალი?

მოსავლის კრფისა და მიწოდების პროცესიც რისკის ქვეშაა, როგორც ექსპერტები გვაფრთხილებენ. ხშირად საველე მუშებს არ აქვთ შესაბამისი აღჭურვილობა, კორონავირუსული ინფექციისგან თავის დასაცავად და ასევე შეზღუდულია გადაადგილება ქალაქებსა და ქვეყნებს შორის, რაც სეზონური სამუშაოებისთვის გადამწყვეტი იყო.

„სასოფლო მეურნეობებში მშრომელთა ჯანმრთელობის, ასევე სამუშაო ძალის ხელისაწვდომობის საკითხი კვეთის პროდუქტების წარმოების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა“, – წერია რისკების ანალიზის ჯგუფის Fitch Solutions 25 მარტის მოხსენებაში.

შეერთებულ შტატებში მიგრანტი მუშები სოფლის მეურნეობისა და ფერმების მთავარი საყრდენია. კალიფორნიაში, აშშ-ის ერთ-ერთ წამყვან შტატში, სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო საქონლის წარმოებისთვის, შტატის ხელისუფლებამ გამოსცა საკვალდებულო „დარჩი სახლში“ განკარგულება, რათა შეამციროს ვირუსის გავრცელება. ამან გავლენა მოახდინა ფერმების მუშაობაზე.

იგივე იქმნის მთელ ევროპაზე, სადაც სასოფლო მეურნეობებში საგაზაფხულო სამუშაოებია დაწყებული და საზღვრების დაკეტვის შემდეგ თითქმის შეუძლებელია სეზონური მუშების პოვნა მარნევისა თუ სალაისის მოსავლის ასაღებად.

აღრე თუ გვიან კორონავირუსული ინფექციის გადაცემა შემცირდება და მთავრობებიც შეამსუბუქებენ მოგზაურობისა თუ საცალო ვაჭრობის შეზღუდვებს და სასურსათო პროდუქტების მიწოდებას ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდება, ამბობენ ექსპერტები.

და, აი, იმ ეტაპზე, შესაძლოა, ადამიანი სხვაგვარი პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს: რა უყოს კარადებსა თუ საყინულეებში მომარაგებულ პროდუქტს.

„თუ ახლა ადამიანები უფრო მეტ პროდუქტს ყიდულობენ, სულაც არ ნიშნავს, რომ მეტს იყენებენ – ისინი შავი დღისთვის იმარაგებენ. როდესაც ყველაფერი ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდება, მომხმარებელს შინ ბევრი კონსერვი და ტუალეტის ქაღალდი შეჩერება და აღარ მოუწევს მეტის ყიდვა“, – ამბობს გოკერ აიდინი, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის პროფესორი.

### რადიო „თავისუფლება“

...კორონავირუსმა უკვე ჩაითრია გლობალური ეკონომიკა სპირალში: ათობით მილიონმა ადამიანმა მსოფლიოში დაკარგა სამსახური მას შემდეგ, რაც საწარმოებმა უკანნიდან ბავარიამდე თუ მიჩიგანამდე მუშაობა შეაჩერეს.

### რას ნიშნავს ეს ყოველდღიური საკვებისთვის ჩვენს სუპრაზე?

თუ თქვენ კორონავირუსს თავი განადრდეთ სოფლად ან აგარაკზე, სადაც მცირე ბაზ-ბოსტანი გაქვთ და ცხოველთა მცირე ფერმაც, შესაძლოა, უკვე ვეზადებოდეთ, თავი თქვენი ეზოს მოსავლით გამოიკვებოთ.

მაგრამ, თუ ქალაქში ცხოვრობთ და მსოფლიოს მოსახლეობის ნახევარზე მეტივით არ მიგიწვდებათ ხელი საკუთარ მოსავალზე, დიდი შანსია, რომ საკვები პროდუქტების გლობალური ქსელის გამართულად მუშაობაზე იყოთ დამოკიდებული და იმის იმედად დარჩენილი, რომ პურისა და რძის ან წინიბურისა და ბანანის მარაგი არ გამოილევა სასურსათო მაღაზიებში.

რა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანები, ვისაც ჩვენი ხილი და ბოსტნეული მოჰყავს, ავად ხდებიან ან კარანტინში უწევთ ყოფნა? რა ხდება, როდესაც ისინი, ვინც კარტოფილს ან ხახვს ფუთავს და სატვირთო მანქანებზე აწყობს, რომ თქვენი ქალაქის დახლებზე მოხვდეს, ვეღარ მუშაობენ? რა ხდება მაშინ, როდესაც ხორბლის დაფქვა და საცხობამდე მიტანა ვერ ხერხდება, რომ პური გამოცხვას?

შეიძლება თუ არა, უახლოეს თვეებში საკვების გლობალური დეფიციტის წინაშე აღმოვჩნდეთ?

„პანდემია გამოიწვევს მასობრივ შეფერხებას სურსათის მიწოდების გლობალურ სისტემაში“, – დაწერა კრის ელიოტმა, ბელფასტის დედოფლის უნივერსიტეტის პროფესორმა, თავის ტვიტერზე:

„გახანგრძლივებული პანდემიური კრიზისი შეიძლება სწრაფად და მძიმედ დაანგვს სურსათის მიწოდების ჯაჭვს, ურთიერთქმედების კომპლექსურ ქსელს, რომელშიც შედიან ფერმერები, სოფლის მეურნეობის ტექნიკა, გადაამუშავებელი საწარმოები, გადაზიდვები, საცალო ვაჭრობა და სხვა მრავალი“, – გააფრთხილა მსოფლიო მაქსიმო კალენმა, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის მთავარმა ეკონომისტმა, ამას წინათ გამოქვეყნებულ ნაშრომში.

ზოგიერთ ადგილებში პროდუქტის პანიკურმა შექენამ და მომარაგებამ შემფოთება კიდევ უფრო გააღრმავა; შეიქმნა საშიშროება, რომ საცალო და საბითუმო ვაჭრობა ვერ გაუძლებდა დატვირთვას და მარაგები ამოიწურებოდა.

აპრილის დასაწყისში მსოფლიო სასურსათო პროგრამა, გაეროს კიდევ ერთი სააგენტო, შეეცადა ანერვიულებული მომხმარებლების დამშვიდებას:

„ძირითადი მარცვლეულის გლობალური ბაზრები კარგად არის მომარაგებული და ფასები, ზოგადად, დაბალია“, – განაცხადა გაერომ 3 აპრილს.

„შეფერხებები ჯერჯერობით მინიმალურია, სურსათის მიწოდება – ადეკვატურ-

რი, ხოლო ბაზრები – შედარებით სტაბილური“, – განაცხადა სურსათის პროგრამის უკონომიკებისთვის საკვები პროდუქტების მიწოდების უფრო მკაცრი მართვის მიზნით.

„მაგრამ ჩვენ შეიძლება, მალე ველოდოთ შეფერხებებს სურსათის მომარაგების ქსელში, თუ დიდი იმპორტიორები დაკარგავენ ნდობას ძირითადი სასურსათო საქონლის საიმედო გავრცელების მიმართ“, – თქვა მან.

### ვინ არის ყველაზე მეტი რისკის ქვეშ?

მსხვილი ინდუსტრიული სახელმწიფოებისთვის, რომელთა მოსახლეობა განსაკუთრებითაა კონცენტრირებული ქალაქებსა და გარეუბნებში, სურსათის მიწოდების ჯაჭვი უფრო გრძელი, რთული და, შესაძლოა, უფრო დაუცველიცაა.

ნაკლებად ინდუსტრიული, უფრო სოფლის მეურნეობაზე დაყრდნობილი ეკონომიკებისთვის საკვები პროდუქტების მიწოდების ქსელები უფრო მოკლეა და მარტივი. მაგალითად, თუ თქვენ თავად არ იღებთ კვერცხსა და რძეს საკუთარი ქათმებიდან, ძროხებიდან თუ თხებიდან, შეიძლება მეზობელი ფერმიდან ან მეზობელი სოფლიდან შეიძინოთ.

სხვა სასურსათო საქონელი – მაგალითად, ხორბალი, სიმინდი ან სოიო – იყიდება ბითუმად და ხშირად გრძელ დისტანციებზე გადაიზიდება. ეს ნიშნავს, რომ არსებობს უფრო მეტი წერტილი, სადაც შესაძლებელია მიწოდების ქსელის მოშლა.

ამას ემატება შიმშის ფაქტორი: მომხმარებლები, რომლებსაც დეფიციტი აწინებთ, იმაზე მეტს იმარაგებენ, ვიდრე სჭირდებათ, რაც სწორედ იმ დეფიციტს იწვევს, რისიც ვეძინათ. მაგალითად, მოსკოვის ზოგიერთ სასურსათო ბაზარზე გავრცელებულია ინფორმაცია, რომ თარიღები დაცარიელებულია წინიბურისგან.

### ბარაკ ობამა ბაიდეის მხარეზე

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამამ საპრეზიდენტო არჩევნებზე ჯო ბაიდეის კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

„ლიდერის თვისებები, რომლის საფუძველშიც ცოდნა, გამოცდილება, პატიოსნება და თავმდაბლობა დევს, თერთ სახლშია საჭირო. ამიტომაც, ვამყობ იმით, რომ ჯო ბაიდეის აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე მხარს ვუჭერ“, – განაცხადა ბარაკ ობამამ. ბარაკ ობამას თქმით, ჯო ბაიდეის ვიცე-პრეზიდენტად არჩევა მისი ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იყო.

13 აპრილს „დემოკრატმა“ სენატორმა ბერნი სანდერსმა აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტს ჯო ბაიდეის საპრეზიდენტო არჩევნებზე მხარი დაუჭირა. „ყველა ამერიკელს ვთხოვ საპრეზიდენტო კამპანიაში მხარი დაუჭიროს ჯო ბაიდეის კანდიდატურას, რათა ამ ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში ყველაზე სახიფათო პრეზიდენტის დამარცხება შევძლოთ“, – განაცხადა ბერნი სანდერსმა.

### უკრაინაში გენერალი დააკავეს

უკრაინაში რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურის გენერალ-მაიორი ვალერი შაიტანოვი დააკავეს.

„სამწუხაროდ, ადამიანი, რომელმაც გენერლის წოდება ღირსების რევილუციის შემდეგ მიიღო და უკრაინა უნდა დაეცვა, მის

წინააღმდეგ მუშაობდა. ჩავატარეთ რთული, ხანგრძლივი და მრავალეტაპიანი სპეცოპერაცია. ეს დამოუკიდებელი უკრაინის ისტორიაში ყველაზე სერიოზული გამოძიებაა“, – განაცხადა უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თავმჯდომარე ივან ბაკანოვმა. გავრცელებული ინფორმაციით, ვალერი შაიტანოვს სახელმწიფო დალატსა და ტერორისტული აქტების მოწყობაში ადანაშაულებენ.

### ბილ გაითსი ტრამპს უპირისპირდება

კომპანიის „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელი და მულტიმილიარდელი ბილ გაითსი აცხადებს, რომ მიმდინარე კრიზისის დროს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისათვის უფრო მეტი დაფინანსების შეწყვეტა საშიშია. მისი თქმით, ახლა მსოფლიოს ისე სჭირდება მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, როგორც არასდროს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გამოსცა განკარგულება იმის შესახებ, რომ ქვეყანამ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაფინანსება შეწყვიტოს. ტრამპი ორგანიზაციას კორონავირუსთან დაკავშირებით ინფორმაციის დაზოგვაში ადანაშაულებს.





1978 წლის იანვარში ზამთრის არდადეგებისას ქართველ სტუდენტებთან ერთად უნგრეთს ვეწვიე. დაბამული შემოგვეგება ბუდაპეშტის ქუჩები. ბუდას ფუნქციონირიდან თვალი წარგვტაცა პეშტის მშენებამ. ქალაქის შუაგულში ვეშაპვიით გაწოლილი დუნაი მიიზღაზნებოდა და ქათქათა ფანტელებს ისრუტავდა.

იმ სუსხიანი დღეებიდან მესხიერებას შემორჩა საოცარი ბუდას ციხე-ქალაქი, სამეფო სასახლე, 1849 წელს დუნაიზე აგებული ჯაჭვის ხიდი, რომელმაც თავის დროზე ორი ქალაქი გააერთიანა, ასევე, საუკუნოვანი ოპერის თეატრი, ფერენც ლისტის სახლ-მუზეუმი და ზოგი სხვა... ბეჭეტი რამ კი წელთა დინებამ წაიყოლა. თუმცა, თვალწინ მიდგას კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც არასდროს დამავიწყდება.

ჩვენს სასტუმროში პოლონელ ტურისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფიც ცხოვრობდა. რამდენიმე მათგანთან მაშინვე გამოვინახე საერთო ენა, „გრემმა“ და „ვარციხემ“ უმაღლეს დარგაბლოვდა. ერთ დღეს მადიარებმა ისინი ღვინის დაჭაშნიკებაზე მიიწვიეს.

პოლონელებმა მთხოვეს, წავყოლოდი. ჯგუფის ხელმძღვანელმა ნება დამართო. რამდენიმე კვარტალი ფეხით გავიარეთ და ორსართულიან ლამაზ შენობას მივადექით. სამწუხაროდ, იმ რესტორნის სახელი აღარ მახსოვს. ალუბლისფერად მოხავერდებულ ვრცელ დარბაზში შევედით. თავიდან თვალის შეჩვევა გამოვიჩინა: სათლემის შუქზე ძლიერ ვარჩევდი მაგიდებთან მსხდომი ადამიანების სილუეტებს.

რესტორნისთვის შეუფერებელი სიჩუმე სუფევდა – შიგადაშიგ თანამეინახეთა ხმადაბალ საუბარს თუ გაიგონებდით მხოლოდ. ჩვენმა ჯგუფმა უმაღლესი მიიპყრო მასპინძელთა ყურადღება – ხმაურით შევტყუვეთ მაგიდები და ბიჭებმა ოფიციალტს გასძახეს, „დროზე ღვინო!“

მალევე ჩამოარჩევს საცხე კათხები. პოლონელებმა პირველი სადღევრძელო მოწონებეს – გავვიმარჯოსო.


დარბაზის შორეული კუთხიდან ვიოლინოს ხმა მოისმა, რომელიც თანდათან მოგვიახლოვდა. ფრაკში გამოწყობილი ჩია კაცი ჩვენს მაგიდასთან შეჩერდა. სუფრის „თამადა“ წამოდგა და რაღაც გადაუჩურჩულა ფრაკიანს. მანაც თავი დაუქნია. ის იყო, ხეში ჩამოკუნა სიმეშს, გამაჟრჟოლა – დარბაზში „სულიკოს“ საამური ჰანგები დაიღვანა. გული საგულეს არ მეტეოდა. ფეხზე ამდგარმა მოვისმინე ჰიმნივით. ბოლო აკორდიც და ტამამაც იქნა. მევიოლინისა და მაგიდასთან მსხდომ პოლონელებს მადლობა გადავუხადე. სკამზე ჩამოვჯექი თუ არა, თავზე ჭალარათმიანი ბრვე კაცი წამოგვადგა.

– რომელი ხართ ქართველი? – იკითხა მან რუსულად.

სუფრის წვერებს გადავხედე და წამოვდექი. უცნობმა ხელი ღონივრად ჩამომართვა და დიდი ხნის უნახავი ახლობელივით გადამეხვია.

– მე ბულგარული ტოლორ გეორგიევი ვარ, – რიხით წარმოთქვა მან. – მეორე მსოფლიო ომისას პარტიზანი ვიყავი. ჩვენს რაზმში იზრძოდა ქართველი ლევიანი, სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს. „სულიკო“ გვასწავლა. მთელი ჩვენი რაზმი მღეროდა. საოცრად გვიბოლავდა მისი მელოდია და, რაც მთავარია, ბრძოლის უნით გვაგვებდა... – აქ ოდნავ შეისვენა ჭალარათმიანმა, ჰაერი ღრმად შეისუნთქა და... – მშურს თქვენი, საოცარი სიმღერა გაქვთ – „სულიკო“.

ცრემლმორეული კიდევ ერთხელ ჩამომართვა ხელი, დამემშვიდობა და თავის მაგიდას დაუბრუნდა.



# „სულიკო“



იმ ამბის შემდეგ წლები მიილია. არაერთხელ მიფიქრია ბულგარელის სიტყვებზე. სკოლასა თუ უმაღლეს სასწავლებელში გვასწავლიდნენ, რომ „სულიკო“ ალუბლისფერი ლექსი-მღერია, პატრიოტულ თემაზე დაწერილი – აკაკიმ დამინებულ სამშობლოს უმღერაო.

მეც ასე მჯეროდა კარგა ხანს, სანამ აკაკი ბაქრაძის ერთ-ერთი წერილი არ წავიკითხე. დამაგულისყურა და მეზე „სულიკოზე“ სხვა ნაშრომებსაც გავეცანი, რომლებშიც ამ ლექსის ქრისტიანულ დოგმატებთან კავშირი დავის საგნადაა ქცეული. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ თხზულებაში უფლის სამებაზე ლაპარაკი, მაგანი ფიქრობენ, „სულიკოში“ არც სამშობლო იგულისხმება და არც – ქრისტიანული სამება, რომელიც ერთიანი და განუყოფელი, წერილის ლექსში კი დოგმატები დარღვეულია – პოეტი „სულიკოს“ ბოლო სტროფებში „სამად გაშლილსა“ და „სამად განაწილებულს“ სამებას თუ გულისხმობს, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური სწავლებით ეს მკრეხელობაა; მართლმადიდებელი სარწმუნოების კატეხიზმის მიხედვით, „სამად გაშლილი“ სამება არ არსებობს, ეს დოგმატებთან შეუთავსებელიაო.

ჭეშმარიტად! თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ აკაკი წერეთელი პოეტი, მხატვრულ ნაწარმოებს ქმნის და არა – რელიგიურ ტრაქტატს, ამდენად, ფაქტებისადმი ინდივიდუალურ დამოკიდებულებასა და მათს თავისებურ ინტერპრეტაციაში ავტორი შეუზღუდავია. დასტურად უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ისმის კითხვა, რატომ შეარჩია ავტორმა სატრფოსთვის სახელი სულიკო, „რომელიც ქართველთათვის არატრადიციულია“. ერთ-ერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ მგოსანი ამით „ქებათა ქებას“ ეხმაურებაო. სოლომონ მეფე სატრფოს, ანუ ღმერთს უწოდებს „სულის შეყვარებულს“, აკაკი წერეთელი კი ეძებს სულიკოს, რომელიც, პოეტის თქმით, მისი სატრფოა. ამდენად, „სულიკო“ უფრო ახლოსაა „სულის შეყვარებულთან“.

ცხადია, ამ მოსაზრებასაც აქვს რეალური საფუძველი, თუმცა, მიმჩნია, რომ აკაკი წერეთელი სულიკოთი, მოფერებითი სახელით, მიმართავს უფალს – სიყვარულს, იმედსა და რწმენას, ანუ მამა ღმერთს, ძე ღმერთსა და სული წმიდას, რადგან, როგორც წმიდა იოანე

დამასკელი წერს: „გვწამს ერთი სულიკო, უფალი და ცხოველყოფელი, მამისგან გამოშავალი და ძეში დაუნებელი... მამასთან და ძესთან ერთად ღმერთად არსებული და სახელდებული... განუყოფელი და განუყრელი მამისა და ძისგან“.

ავტორისთვისაც ღმერთი (ანუ „სულიკო“ – უკვდავი სული, რომელიც სიყვარულია) ერთია, მაგრამ სამსახოვანი, ამიტომაც პირველად ეკალში ამოსულ ვარდს ეხმიანება – „შენ ხომ არა ხარ სულიკო?“

აღბათ, იკითხავთ, რატომ ვეკალი? აქ ძველი აღთქმიდან ასეთი ეპიზოდი უნდა მოვიხმოთ: ერთხელ მოსე ცხვარს ქორეს მთაზე აძოვებდა. უეცრად შენიშნა, რომ მაცვლის ბუჩქს ცეცხლი ევიადა და არ იჩვენა. გაუვირდა მოსეს, მიუახლოვდა და ბუჩქისგან ასეთი სიტყვები გაიგონა: „მე ვარ ღმერთი ამრაამისი, ისაკისი და იაკობისი, მე ვხედავ ჩემი რჩეული ხალხის ტანჯვას ეგვიპტეში, აწ წადი შენ და გამოიხსენი იგი ფარაონის მონობისგან“. მოსე მიხვდა, რომ ღმერთი აგზავნიდა მას ისრაელთა გამოსახსნელად.

მცხეთაში ამოსულმა წმინდა ნინომაც მაცვლოვანში დაიდო ბინა. არც ეს ყოფილა შემთხვევითი, რადგან მაცვლის ბუჩქი უფლის ხატებაა (ღვთისმშობლის ქალწულობისა და დედობის სიმბოლო). „ნიშნად თანხმობის კოკობი შეინახა... თავი დახარა“... მერე ბულგარულმა „ჩაიკვენს-ჩაიკვიკვა, თითქოს თქვა: დიახ, დიახო!“ ვარსკვლავმაც „დასტური მომცა ციმციმით, სხივები გადმომაყარა“.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ პოეტი ეძებს ღმერთს არა ქრისტიანული დოგმატების დაცვით, არამედ, თავისებურად და პოულობს შემოქმედს, იმ ერთს, რომელიც „სამად გაშლილია“ – „ვარსკვლავად, ბულბულ-ვარდადო“. აკაკის აზრით, უფალი ერთია, მაგრამ სამსახოვანი, ამიტომაც აქვს მას სამგან ბინა – ადამიანის სულში, გულსა და გონებაში, თუმცა კი ერთ არსებაში და ამიტომაც მიგვაჩნია, რომ, მზის დარად (დისკო, სხივი და სითბო), „სულიკოშიც“ სამების ერთ არსად ყოფნა რეალურად არის შენარჩუნებული...

დღესაც ყურში ჩამესმის ბულგარელი პარტიზანის სიტყვები: „სულიკოს“ მთელი ჩვენი რაზმი მღეროდა, საოცრად გვიბოლავდა მისი მელოდია („ტკბილ ხარ შენ, უფალო“) და, რაც მთავარია, ბრძოლის უნით გვაგვებდა“ („შენ დამიფარე, ძლევა მეც, დათრგუნვად მე სატანისა“)...

ფიქრობ, რომ აკაკი წერეთლის „სულიკო“, ისევე, როგორც დემეტრე მამის „შენ ხარ ვინა-ხი“, უფლის საბალოვლია.



ვაჟა დანელია

**სააღდგომოდ ქუთაისისა და ზესტაფონის სასაფლაოები რეაბილიტაცია**

კორონავირუსის პრევენციის მიზნით სააღდგომოდ ქუთაისისა და ზესტაფონის სასაფლაოები რეაბილიტაცია. ამის შესახებ იმერეთის გუბერნატორმა ზვიად შალამბერიძემ განაცხადა.

„სასაფლაოები, საგარეუდოდ, 3 დღის განმავლობაში იქნება დაკეტილი. ჯერ გადანყვებილი არ გვაქვს,“

ეს იქნება – კვირას, ორშაბათს, სამშაბათს თუ შაბათს, კვირას და ორშაბათს. ეს გადანყვებილია მიღებული იმის გამო, რომ სააღდგომოდ ხალხის მობილიზება არ მოხდეს. მოგესხენებთ, სასაფლაოებზე ბევრი ხალხი გადის და ვირუსის გავრცელების დიდი რისკია“, – განაცხადა შალამბერიძემ.

**ალექსანდრე გოგინავა: რელიგიურ უპირატესობაში არ იქნება დისკონია დასული, დაინფიცირების რისკი გაიზარდა**

თბილისის ინფექციური საავადმყოფოს ინფექციონისტი ალექსანდრე გოგინავა „2020NEWS“-თან აცხადებს, რომ საქართველოში კორონავირუსის გავრცელება პიკს, სავა-

**რაუდოდ, მისის პირველ ნახევარში მიადევს.**

მისივე თქმით, მისის მეორე ნახევრიდან ვირუსით ინფიცირების შემთხვევათა რაოდენობა თანდათან შემცირდება.

მისივე განცხადებით, მოსაზრება, რომ კორონავირუსს საქართველოში ადრე თუ გვიან ყველა ადამიანი მოიხდის, მცდარია.

„კორონავირუსს ყველა ადამიანი არ მოიხდის. ნებისმიერი ქვეყნის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, 1%-ზე მეტი თითქმის არსად დაინფიცირებულა. ის, რომ მთელი მსოფლიო გადაიტანს ამ ინფექციას, რეალობას მოკლებულია.“

მითუმეტეს, აქტიური მუშაობა მიდის ვაქცინაზე და, შესაძლოა, ექვს და ცოტა მეტ თვეში მზად იყოს ვაქცინა, რომელიც ვირუსის გავრცელების პრევენციას მოახდენს.

თუ ნებისმიერი სახის შეკრებაზე, მათ შორის, რელიგიურის, არ იქნება დაცული ადამიანებს შორის დისტანცია, ჰიგიენური ნორმები და ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციები, ადამიანების კორონავირუსით დაინფიცირების რისკები გაიზარდება“, – განაცხადა გოგინავამ.

მისაგაძი ავალითი

კორონავირუსთან გასამკლავებლად

საპარტიველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივითა და ორგანიზებით, რამდენიმე ასეულ ადამიანს სააღდგომოდ საკვები პროდუქტი გადაეცემა. სპეციალური სასაჩუქრე ყუთები მთელი საქართველოს მასშტაბით მცხოვრებ, 70 წელს გადაცილებულ ვეტერან ფეხბურთელებს ერგებათ. სხვადასხვა სოფლებში აღნიშნული ყუთების მიწოდებას ფეხბურთის რეგიონული ფედერაციები უზრუნველყოფენ.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ასევე ერთვება თბილისის მერიის აქციაში და სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუცებს საკვებას და ჰიგიენურ პროდუქტს გადასცემს.

1000 სასაჩუქრე ყუთის დარიგება, რომელიც საკვები და ჰიგიენური პროდუქტით,

ასევე სააღდგომო პასკითა და ტკბილეულით არის სავსე, უკვე დაწყებულია. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კორონა ვირუსთან საბრძოლველად თანხა 100 ათასი ლარის ოდენობით გადაირიცხა StopCov ფონდში, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით შექმნილი პლატფორმის ფარგლებში შეიქმნა და ბიზნესობმუდსმენის აპარატისა და კერძო სექტორის კოორდინაციით, იდენტიფიცირებული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მიემართება. სფფ-მ ფინანსური რესურსის გარდა მზადყოფნა გამოთქვა ფედერაციის ბალანსზე არსებული სასტუმროსა და სხვა შესაბამისი ინფრასტრუქტურის საკარანტირო ზონად მოსაწყობად.



გიორგი შოთაძე

პატივი

გიგაშვილი სიმბოლურია

საპარტიველოს ნაკრებისა და „ტულონის“ მორაგბე ბექა გიგაშვილი TOP 14-ის პირველი წრის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა. ჩვენებური გამოცემა brancherugby.fr-მ გამოარჩია.

„ამ სეზონის სიურპრიზი ქართველი მორაგბეა. ის „ტულონში“ გრენობლიდან ჩავიდა და პირველივე სეზონში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მსოფლიო თასის გამო გუნდს გვიან შეუერთდა, მაგრამ ამის მიუხედავად სწრაფად შეეჩვია ახალ პარტნიორებს. შრომისმოყვარეა, რომელიც მწვრთნელის დავალებებს პირნათლად ასრულებს“, - წერს გამოცემა.

აქვე გეტყვით, რომ 2019-2020 წლების სეზონში ბექამ „ტულონის“ რიგებში 11 თამაში ჩაატარა და 3 ლელო მიითვალა.



კოპა კოპანიძე

ლეგიონერი



გიორგი შარმაღინი, ისევე როგორც მისი ტენერიფელი გუნდლები და, ზოგადად, სპორტის სამყაროს თითქმის ყველა წარმომადგენელი, იზოლაციაშია და სახლის პირობებში ცდილობს კონდიციების შენარჩუნებას. გიორგი სისტემატურად ემზადება საქართველოს ეროვნული ნაკრების კალაბურთელებს, სოლო კუნძულელთა ფიზიომზადების მწვრთნელისგან ყოველდღიურად იღებს სავარჯიშო ინსტრუქციას. ესპანეთის ჩემპიონატის ბედი ჯერაც გაურკვეველია და შერმაღინი მოთმინებით ელოდება კორნავირუსის გამო შექმნილი ვითარების დასტაბილურებას.

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „ტენერიფე იბეროსტარის“ ლიდერს პირენეებზე შევსებთან, რომელიც მიმდინარე ამბებზე გვესაუბრა, ქართველ ექიმებსა და პანდემიისთან მებრძოლ ყველა ადამიანს მადლობა გადაუხადა, „ჯვაროსანთა“ სერბეთთან გამარჯვება გაისმინა და ქართველი გულშემატკივრებისთვისა და, ზოგადად, მოსახლეობისთვის ვიდეომიმართვა გააკეთა.

მი, სადაც სოსოს საოჯახო თონე აქვს, პერიოდულად პურს უფასოდ დაარიგებდა ჩვენს თანასოფლელებზე და ყველაზე, ვინც თონეში მოვიდოდა. ძალიან ბევრი მადლობა მივიღეთ, თუმცა, მთავარი ისაა, რომ იმ ოჯახებს ნაწილობრივ შევუმსუბუქეთ ყოფა, ვისაც უჭირს. ამ პროცესს ჩემი ძმა უძღვევა და კიდევ გეგმავს დღეებს, როცა ნატატრის თონიდან პურს უფასოდ დაარიგებს.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქართველ ექიმებს, რომლებიც გამირულად ებრძვიან ამ დაავადებას. მათი და სახელმწიფო სამსახურების, მთავრობის კოორდინირებული მუშაობის შედეგია, რომ ვირუსი ისე ელვისებურად არ ვრცელდება საქართველოში, როგორც ეს ევროპის წამყვან ქვეყნებშია და რომ ჩვენი ქვეყანა კორნავირუსთან ბრძოლაში მსოფლიოში მოწინავე პოზიციაზეა. იმედი მაქვს, საქართველოს მოსახლეობა კვლავ გააგრძელებს იმ რეკომენდაციების დაცვას, რასაც ჯანდაცვის სამინისტრო და შესაბამისი სამსახურები გაცემენ და ძალიან მალე მოვასერხებთ ცხოვრების ჩვეულ რიტმში დაბრუნებას. მიხარია, რომ საქართველოში გრძელდება სტრატეგიული სამშენებლო სამუშაოები, რომელთა რიცხვიც ის დარბაზიც შედის, რომელშიც ევროპის ჩემპიონატის თამაშები უნდა გაიმართოს. მადლობა მშენებლებს და ყველა იმ ორგანიზაციასა თუ სამსახურს, რომლებიც ევრობასკეტისთვის ახალი დარბაზის მშენებლობისთვის ყველაფერს აკეთებენ.

მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლის სტატუსის გამო ევრობასკეტის საგზური განაღებული გვაქვს, ჩვენი ნაკრები მიმდინარე საკვალიფიკაციო ტურნირზე ჯგუფში პირველ ადგილზეა. სანყისი 2 ტურის მატჩები დაუვიწყარი იყო, რომლებშიც ჯერ თბილისში შევიცარია დავამარცხეთ, მერე კი ბელგრადში სერბეთს მოვუგეთ. თბილისში ოვერტაიმში ვიმარჯვეთ, თუმცა, განსაკუთრებულად მასხენდება ის ეპოქები, რაც სერბეთის ნაკრების დამარცხებით ბელგრადში განვიცადეთ. ეს იყო დაუვიწყარი შეგრძნება. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გუნდის თითოეულ მოთამაშესა და მწვრთნელს, რა თქმა უნდა ექიმებს, მენეჯერებს და ნაკრების ხელმძღვანელებს. წარმატების მისაღწევად ყველამ მაქსიმუმი გაილა, სხვანაირად ასეთ ძლიერ ნაკრებს ვერ დავამარცხებდით. ორმაგად მიხარია, რომ სათქმელი ახალგაზრდობამაც თქვა, რომლის ძალაც აუცილებლად დაგჭირდება მომავალ ევრობასკეტზე და რომელმაც, ადრე თუ გვიან, უნდა ჩაანაცვლოს ნაკრების ამჟამინდელი ბრითვი.

ვიტალი ჯაფარიძე

შერმაღინის ოჯახი ნატატარში კურს უფასოდ არიგებს

ბოლო მატჩი ფიბა-ს ჩემპიონთა ლიგაზე 10 მარტს ბელგიაში ვითამაშეთ „ოსტენდესთან“ და იქიდან ტენერიფეში რომ დავბრუნდით, მერე დღეს დაგვიბარეს დარბაზში. მანამდე, როგორც ჩანს, ესპანეთის ლიგის ხელმძღვანელობას კომუნიკაცია ჰქონდა გუნდების ხელმძღვანელებთან ჩემპიონატის შეჩერებასთან დაკავშირებით და მიღებული იყო გადაწყვეტილება, რომელიც შესვედრაზე გაგვაცნეს. ჩვენმა მწვრთნელმა გვითხრა, რომ საფრთხე სერიოზულია და ცოტა ხნით, დაახლოებით 2 კვირით ვაჩერებთ როგორც ვარჯიშებს, ასევე ჩემპიონატის თამაშებს. ყველანი უნდა დავრჩენილიყავით იზოლაციაში და არ გვეკონოდა პირადი კონტაქტები არც გუნდლებთან და არც სხვებთან. გვითხრეს, რომ მალევე, დაახლოებით 2 კვირაში დავუბრუნდებოდით ჩვეულ სავარჯიშო რიტმს, მაგრამ იმის მერე გავიდა 1 თვე და ისევე იზოლაციაში ვრჩებით. კლუბის ხელმძღვანელობა არაფერს, უფრო სწორად კი ვერაფერს ამბობს იმ სიტუაციიდან გამომდინარე, თუ რაც ხდება ესპანეთში და, ზოგადად, მსოფლიოში. არ ვიცი, რა იქნება, გაგრძელდება ვარჯიშები თუ სეზონი დასრულებულიად გამოცხადდება. ამას, ალბათ, მალე გავიგებთ. ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს. ვარჯიშის გარდა რა

უნდა გავაკეთო? მე და ჩემი მეუღლე ვართ ბავშვებთან სახლში, მერე გავდივართ გარეთ, პატარა ბალი გვაქვს და ვცდილობთ იზოლაცია გავიმრავალფეროვნოთ. ძალიან გვხმარებია ჩემი მეუღლის, ანას დედა, რომელიც ჩვენთანაა და, რა თქმა უნდა, ბავშვების ძიძა. სიმართლე გითხრათ, თავიდან კარგა ხანი არ იყო აზინდები და ბოლო რამდენიმე დღეა, ძალიან დაცხა, რის გამოც უმეტესად ეზოში, ჰაერზე ვართ. ვერთობით სხვადასხვა თამაშებით, ბავშვები სწავლობენ და ვართ ასე, როგორც იზოლაციაში მყოფი ყველა ოჯახი.

საქართველოს ნაკრების წევრებთანაც თითქმის ყოველდღიური ურთიერთობები მაქვს. ესპანეთში მყოფებს - მე, თორნიკე შენგელიას, ბექა ბურჯანაძეს, რომლებიც ერთ ლიგაში ვართ, უფრო ხშირად გვინებს კომუნიკაცია, თუმცა, ნაკრების ყველა წევრთან მაქვს კონტაქტი. განხილვის მთავარი თემა, რა თქმა უნდა, არსებული სიტუაციაა: გვედირსება ვარჯიშისა და თამაშის გაგრძელება? დავამარცხებთ ამ ვირუსს? ყველა იმედიანადაა, სხვა გზა არც არსებობს.

სამშობლოში შექმნილი რთული სიტუაციის გამო გვინდოდა, ხალხს რამენაირად დაგვმარებოდათ. მე და ჩემმა ძმამ ვისაუბრეთ და გადავწყვიტეთ, რომ ნატატარ-

ტოკიო 2020

ვიზიტი გაუქმდა

საპარტიველოს ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტის ტომას ბახის მანაში დაგეგმილი ვიზიტი იაპონიაში კორონავირუსის პანდემიის გამო გაუქმდა. IOC-ის პრეზიდენტს ამომავალი მზის ქვეყანაში მოგზაურობისას უნდა შეემონებინა ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისი. თომას ბახი ასევე უნდა სწვეოდა იაპონიის პრეფექტურა პიროსიმას, სადაც მისი ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა უნდა ჩატარებულიყო.



ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა 26 მარტს ფუკუშიმადან უნდა დაწყებულიყო, მაგრამ COVID-19-ის შედეგად 2021 წლამდე გადავადებული ოლიმპიური თამაშების გამო ესტაფეტა გაუქმდა. IOC-ის პრესსამსახურის ცნობით, ბახის ვიზიტის გაუქმება მოჰყვა იქაური მთავრობის მიერ დაწესებულ აკრძალვას. კერძოდ, ვირუსის შესაჩერებლად იაპონიაში ქვეყანაში შეს-

ვლა აუკრძალა მათ, ვინც ბოლო 14 დღის განმავლობაში ევროპას სტუმრობდა.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა სინძო აბემ გასულ კვირას ტოკიოში და კიდევ 5 პრეფექტურაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

იაპონიის დედაქალაქში კორონავირუსის გავრცელების 1700-ზე მეტი შემთხვევა გამოვლენილი, რაც ქვეყნის 47 პრეფექტურაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

აჰშან დოლიძე

თანამშრომლობა


ამჯერად - ნარდი

კომპანია „ევროპაბეტსა“ და საქართველოს სპორტული ნარდის ფედერაციის შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. „ევროპაბეტსი“ სპორტის ამ სახეობას აქტიურად დაუჭერს მხარს და მის განვითარებაში საკუთარ წვლილს შეიტანს.

ბოლო თვეების განმავლობაში „ევროპაბეტსმა“ ასევე გააფორმა პარტნიორობის ხელშეკრულებები საქართველოს ჭადრაკის, უძლიერეს მამაკაცთა და შერეული საბრძოლო ხელოვნებების ფედერაციებთან. კომპანია ასევე არის ბათუმის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის გენერალური სპონსორი და მხარდამჭერი.

სპორტული ნარდის ფედერაციასთან გაფორმებული მემორანდუმი, ისევე როგორც მანამდე დადებული ყველა ხელშეკრულება, „ევროპაბეტსის“ პროექტის „პასუხისმგებელიანი თამაშის“ ნაწილია.

ბანუზარ გიორგაძე



# საქართველოში დოლბანდის ახალი პარტია ჩამოვიდა

საქართველოში ცხვრადების წარმოების ხელშეწყობის მიზნით, აზერბაიჯანში საქართველოს საელჩომ უზრუნველყო დოლბანდის მორიგი პარტიის, 500 000 მეტრის ტრანსპორტირება. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

როგორც მათ ინფორმაციაშია აღნიშნული, საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოტანილი იქნა განსაკუთრებული პრიორიტეტის მქონე სამედიცინო ინვენტარი.

„საქართველოში პირბადეების წარმოების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საელჩოს ძალისხმევით შედგა, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან, საერთო ჯამში, განხორციელდა 1 650 000 მეტრი დოლბანდის ექსპორტი, მათ შორის, საქართველოს საელჩოს ავტოსატრანსპორტო საშუალებებით.“

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ კორონავირუსის

(COVID-19) გავრცელების საწინააღმდეგოდ გატარებული აღმკვეთი ღონისძიებების ფონზე, საქართველოს საელჩო კოორდინაციას უწევდა საქართველოსთვის განკუთვნილი (საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო) საერთაშორისო ტვირთების ტრანსპორტირებას. აღსანიშნავია, რომ საელჩოს ორგანიზებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლების დახმარებით და აზერბაიჯანის ავიაკომპანიასთან შეთანხმებით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოტანილი იქნა საქართველოსთვის განკუთვნილი, განსაკუთრებული პრიორიტეტის მქონე სამედიცინო ინვენტარი.

4 მარტიდან საქართველოს საელჩომ აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, აქტიურად დაიწყო მუშაობა საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობის კუთხით. ირანის ისლამური რესპუბლიკიდან აზერბაიჯანის რესპუბლიკის გავლით, საქართველოში გადაყვანილი იქნა საქართველოს 41 მოქალაქე. სა-

ჭიერო მიმოსვლის შეწყვეტის შედეგად, აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან, ქ. ბაქოს საერთაშორისო აეროპორტის გავლით, სამშობლოში 5 ეტაპად დაბრუნდა საქართველოს 58 მოქალაქე.

ასევე საქართველოს საელჩომ ხელი შეუწყო აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს 100-მდე მოქალაქის სამშობლოში დაბრუნებას. აღნიშნული პროცესი კვლავ გრძელდება. საელჩომ საკვებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით უზრუნველყო 168 ოჯახი, მათ შორის, არასრულწლოვნები და ხანდაზმულები. სამედიცინო დახმარებითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფილი იქნა 70 ოჯახი.

კახის, ბელაქანისა და ზაქათალის რაიონების მუნიციპალიტეტებს გადაეცათ საქართველოში წარმოებულ პირბადეები და სანიტარიულ-ჰიგიენური საშუალებები. საელჩოში 24-საათიან რეჟიმში მიმდინარეობს მოქალაქეთა ზარების მიღება. საქართველოს მოქალაქეები ყოველდღიურ რეჟიმში იღებენ სამართლებრივ და ტექნიკურ დახმარებას, მათ შორის, მიგრაციისა და საბაჟო საკითხებში“, – ნათქვამია უწყების ინფორმაციაში.



## ინდივიდუალური დასვის პლასტიკური ნიღბები სამხედრო მოსამსახურეებისთვის

ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით, თავდაცვის ძალების ლოჯისტიკის სარდლობის შეიარაღებისა და ტექნიკის სარემონტო ბაზის პირადი შემადგენლობა სამხედრო მოსამსახურეებისთვის ინდივიდუალური დასვის პლასტიკური ნიღბებს ამზადებს.

დამცავი ფარი მრავალჯერადი გამოყენებისაა და სადებიზინფექციო ხსნარით ინმინდება. როგორც თავდაცვის სამინისტროში აცხადებენ, ლოჯისტიკის სარდლობის წარმომადგენლები ინდივიდუალური დასვის პლასტიკური ნიღბებს ყველა წესის დაცვით ამზადებენ.

გლობალური პანდემია კარგი დროა იმის გასაანალიზებლად, სად ვუშვებთ შეცდომებს ადამიანები. ახალი კვლევის მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით, ჩვენს გავლენას ცხოველებზე, პირდაპირი წვლილი შეაქვს ზოონოზური დაავადებების გავრცელებაში.

კვლევამ დაადგინა, რომ ჩვენი მხრიდან ბუნების სამყაროს გამოუმეხობი ექსპლუატაცია, იქნება ეს ნადირობა, ვაჭრობა, ჰაბიტატის გაუარესება თუ ურბანიზაცია, ცხოველების პოპულაციის ცვლის და გზას უხსნის იმ ცხოველურ დაავადებებს, რომლებსაც ადამიანებზე გადმოსვლა შეუძლიათ.

ყველაფერი დამოკიდებულია სიახლოვეზე და რაც უფრო განაგრძობს ადამიანთა საზოგადოება ბუნების სამყაროში შეჭრას, ველურ ბუნებასთან გაზრდილი კონტაქტი გარდაუვლად ზრდის ვირუსების ჩვენში გადმოსვლის რისკს.

„ბუნებრივი ჰაბიტატის შემცირებასთან ერთად, ველური ბუნების წარმომადგენლები ხალხთან ახლო კონტაქტში შედიან. გარდა ამისა, ველური ბუნება იცვლის საკუთარ გადარჩენის რაობას, რათა ადგილი დაუთმოს ანთროპოგენულ აქტივობებს და ბუნებრივი ლანდშაფტის მოდიფიკაციებს. ამ ყველაფერმა დააჩქარა ველური ბუნებიდან დაავადებების გამოჩენა და დაგვიყენა პანდემიების რისკის წინაშე“, – ამბობს კალიფორნიის უნივერსიტეტის ეპიდემიოლოგი კრისტინ ჯონსონი.

ეს გახლავთ რეალობა, რომელსაც კაცობრიობა ახლა კარგად იაზრებს. გასულ საუკუნეში, ველური ბუნებიდან გადმოსვლა ინფექციურმა დაავადებებმა პიკს მიაღწია; როგორც ახალი კვლევის შედეგები მიუთითებს, ძუძუმწოვრების უდიდესი ნაწილი ამ მხრივ დიდწილად პრობლემურია.

2013 წელს გამოქვეყნდა მონაცემები ველური და მოშინაურებული ცხოველ-

## ველური ბუნების ექსპლუატაცია ადამიანებში სულ უფრო მეტი ვირუსის გაავრცელებას იწვევს

ბის იმ ვირუსების შესახებ, რომლებსაც ადამიანებზე გადასვლა შეუძლია, ანუ, წარმოადგენს ზოონოზურ ვირუსებს. ამ მონაცემებში, კვლევის ავტორებმა შეისწავლეს, როგორი ურთიერთქმედებები ყველაზე სარისკო.

მონაცემები მოცემულია ჩვენში გადმოსვლადი ვირუსების მატარებელი ცხოველების სამი ჯგუფი. ირკვევა, რომ მოშინაურებული ცხოველები, მაგალითად, მსხვილფეხა საქონელი, ყველაზე მეტად გადასცემს პატრონს ვირუსებს, ველურ ცხოველებზე რვაჯერ მეტ ვირუსს.



რაც შეეხება ველურ ცხოველებს, ირკვევა, რომ ადამიანებს ყველაზე მეტ ვირუსს გადასცემენ ის ქმნილებები, რომელთა რაოდენობაც გაიზარდა და რომლებიც კარგად მოერგნენ ადამიანის მიერ ათვისებულ გარემოს, მაგალითად, ღამურები, მღრღნელები და პრიმატები.

გარდა ამისა, ავტორები მიუთითებენ, რომ ის სახეობები, რომლებიც ძლიერ დაზიანდნენ ჰაბიტატის დაკარგვის ან ჭარბად გამოყენების გამო, ორჯერ მეტ ზოონოზურ ვირუსებს მასპინძლობენ, ვიდრე ისინი, რომლებიც სხვა მი-

### სანთელი

შალვა მგალობლიშვილი ოჯახით იუნჯება, რომ გარდაიცვალა მეგობარი და კოლეგა, პროფესორი

## ზურაბ ბერია

და თანაურგძნობს განსვენებულის ოჯახს.

### 306 დაავადებულიდან 69 უკვე გამოჯანმრთელდა

საქართველოში კორონავირუსი 306 ადამიანს დაუდასტურდა, აქედან 69 უკვე გამოჯანმრთელდა. ინფორმაცია მთავრობის მიერ შექმნილ ვებგვერდზე stopcov.ge გამოქვეყნდა.

კარანტინის რეჟიმშია 4990 ადამიანი, სტაციონარში მეთვალყურეობის ქვეშ კი 462 მოქალაქე რჩება. საქართველოს კიდევ 3 მოქალაქეს კორონავირუსი სხვა ქვეყნებში დაუდასტურდა და ისინი საქართველოში აგრძელებენ მკურნალობას.

## კორონავირუსი უკვე მუტაციას განიცდის და შესაძლოა, იმის სიმპტომები უმსუბუქდეს



დღეს მეცნიერები ფიქრობენ, რომ კორონავირუსს უკვე მცირე ცვლილებები გაუჩნდა, რასაც ისინი მუტაციას ეძახიან, რომელიც შესაძლოა ასოცირებული იყოს კლინიკურად უფრო მსუბუქად მიმდინარე შემთხვევების განვითარებაზე, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გადამდებ დაავადებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სათუნა ზახაშვილმა „საზოგადოებრივი მაუნჯების“ ეთერში განაცხადა.

„მეცნიერები ახლა საუბრობენ, რომ ეს არის ერთი და იგივე ვირუსი, თუმცა შეიძლება ორი ქვეგანსხვავება ჰქონდეს, რომლის ერთ ვარიანტთან მიმე შემთხვევები იყოს, მეორესთან კი უფრო მსუბუქი. თუმცა ჯერ სამეცნიერო წრეებში ამის სრული მტკიცებულება არ არსებობს“, – აღნიშნა ზახაშვილმა.

მისივე თქმით, დეზინფექციის მეთოდიკა კორონავირუსთან მიმართებაში ეფექტურია და ეს მეთოდი ზედმეტი არასდროს ყოფილა.

### კვების აპარატი მიუსაფარი ქალაქისთვის



ცხოველთა მონიტორინგის სააგენტომ გლდანის მეექვსე მიკრორაიონში, №7 და №20 საცხოვრებელ კორპუსებს შორის მდებარე პარკში მიუსაფარი ძაღლებისთვის განკუთვნილი კვების აპარატი დადგა. ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის მერია ავრცელებს.

კვების აპარატი პლასტმასის 0,5-ლიტრიანი ბოთლის ჩაგდების შემთხვევაში, ძაღლებისთვის საკვები ჩამოიყრება, ხოლო დისპანსერში წყლის ჩასხმის შემდეგ, ცხოველებს წყლის დაღვევის საშუალება მიეცემა. კვების აპარატი რეციკლირების პროცესს უწყობს ხელს და მიუშვებს მზის ენერჯის იყენებს. აპარატის მიუშვებს თბილისის მერის მოადგილე მია ბითაძე ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დირექტორ ვახტანგ ლომჯარიასთან ერთად ადგილზე გაეცნო.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ საგანგებო მდგომარეობის დროს მიუსაფარ ძაღლებსაც მიეცეს ყურადღება. ვითანამშრომლეთ „ზომარტთან“, რომლის დამფუძნებლის თორნიკე ელიზბარაშვილის დახმარებით, გვაქვს ძაღლის ნ ტონა საკვები, რომელიც მიმეძღვრება გადარჩევა. ვფიქრობთ, მათი რიცხვი დაახლოებით, 400-მდე იქნება და ამ პერიოდში, როდესაც ყველა სავაჭრო ობიექტი დაკეტილია, თითოეული მიუსაფარი ძაღლის კვების პრობლემა გადაწყვეტილი იქნება“, — განაცხადა მია ბითაძემ. ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ხელმძღვანელის განმარტებით, მიუსაფარი ძაღლების გამოკვების გარდა, აღნიშნული პროექტი ნარჩენების გადამუშავებასაც ემსახურება.

### ღანიაში სკოლები და საბავშვო ბაღები გაიხსნა

შესაბამისი გადანაცვლებიდან დაინის მთავრობამ ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესწავლის შემდეგ მიიღო. ამასთან, სკოლებსა და ბაღებს ხელისუფლების მიერ შემუშავებული უსაფრთხოების წესების დაცვა მოუწევთ.

მათ შორის, სავალდებულოა სოციალური დისტანციის დაცვა. ის სკოლები და ბაღები, რომლებშიც ამ წესების დაცვა ვერ ხერხდება, აღსაზრდელებს მომავალი კვირიდან მიიღებენ. დანიაში ახალი კორონავირუსის გავრცელების საფრთხის გამო შეზღუდვები 14 მარტს დაიწყო. შეზღუდვების შემსუბუქების გადამწყვეტილება ასევე მიიღო ავსტრალიამაც, სადაც მალაზიების ნაწილი გაიხსნა.

### მეტარნებს შირუსი პერას პრინს



ბრაზილიაში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი, 99 წლის მამაკაცი კორნავირუსისგან გამოჯანმრთელდა. ერმანდო არმელინო პივეტა ერთი კვირის წინათ მოხვდა საავადმყოფოში, 14 აპრილს კი, ის განურეს. ექიმები აცხადებენ, რომ ის „კოვიდ-19“-ისგან სრულად განიკურნა.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ვეტერანი ბრაზილიელი სახლში მკურნალობდა, თუმცა ვირუსის სიმპტომების გამწვავების გამო საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც საავადმყოფოში ყვებიან, ვეტერანი მაშინვე ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში დააწვინეს, თუმცა ხელოვნური სუნთქვის აპარატი მას არ დასჭირვებია. სამედიცინო პერსონალმა გამოჯანმრთელებული ბრაზილიელი საავადმყოფოდან აპლოდისმენტების ფონზე გააცილა. ბრაზილიაში „კოვიდ-19“ სულ 25 000-ზე მეტ ადამიანს დაუდასტურდა, გარდაიცვალა 1 500-ზე მეტი.

### 11 სექტემბრის ტერაქტზე შერაცხა...

კორონავირუსის ნიუ-იორკის პოლიციის უფრო მეტი თანამშრომელი ემსხვერპლა, ვიდრე 11 სექტემბრის ტერაქტს. 14 აპრილს ნიუ-იორკის პოლიციის კიდევ ერთი თანამშრომელი გარდაიცვალა კორონავირუსით გამოწვეული გართულებების გამო.

ამ მომენტისთვის ნიუ-იორკის პოლიციის დეპარტამენტის სულ 24 თანამშრომელი გარდაიცვალა, ხოლო 11 სექტემბრის ტერაქტს კი ნიუ-იორკის პოლიციის 23 თანამშრომელი ემსხვერპლა. ამჟამად კორონავირუსი ნიუ-იორკის პოლიციის 2 232 ოფიცერსა და 568 სამოქალაქო თანამშრომელს დაუდგინდა. ბოლო მონაცემებით, აშშ-ში კორონავირუსი 605 000 ადამიანს დაუფიქსირდა, ხოლო თითქმის 26 000 კი გარდაიცვალა.

### ამერიკელი გენერლის მოსაზრება



აშშ შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალი მარკ მილი აცხადებს, რომ ამერიკელი სამხედროები არ გამოირიცხავენ ახალი კორონავირუსი ხელოვნურად იყოს შექმნილი.


გენერლის განცხადებით, ამერიკელმა სამხედროებმა ვირუსის ნარმოშობის შესწავლა ეპიდემიის ადრეულ ეტაპზე დაიწყეს და მიუხედავად იმისა, რომ კვლევები ვირუსის ბუნებრივ ნარმოშობაზე მიუთითებს, ჯერ ამ საკითხზე საბოლოო წერილი არ დასმულა.

### ორ მილიონზე მეტი ინფიცირებული

მსოფლიოში კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობამ 2 მილიონს გადააჭარბა. „Worldmeters“-ის სტატისტიკის მიხედვით კორონავირუსი მსოფლიოს 210 ქვეყანაშია გავრცელებული.

დადასტურებული ინფიცირების 2 000 243 და გარდაცვალების 126 758 შემთხვევა. მსოფლიოში მხოლოდ 24 საათში 74 012 ინფიცირებისა და 6 928 გარდაცვალების ახალი ფაქტი გამოვლინდა. გამოჯანმრთელებულია 484 571 ადამიანი, ვირუსს კვლავ ებრძვის 1 388 734 ინფიცირებული, მათგან 51 603 კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაშია.

### ტელესკოპი მთვარეზე



NASA-მ მთვარის ბნელ მხარეზე რადიოტელესკოპის მშენებლობის პროექტი დაამტკიცა. Lunar Crater Radio Telescope-ის კონცეფციის იდეა სატარში ბანდიოპადხის ეკუთვნის. კილომეტრიან ტელესკოპს ერთ-ერთ კრატერში ააწყობენ, სადაც ის დედამიწის, მზისა და თანამგზავრების ხარვეზებისგან იქნება დაცული. ამასთან, მონყობილბას DuAxel-ის რობოტები ააწყობენ.

მეცნიერების აზრით, ტელესკოპი მეცნიერებს ადრეული სამყაროს შესწავლაში დაეხმარება. პროგრამის პირველი ფაზის ფარგლებში მკვლევარებმა 125 ათასი დოლარი მიიღეს. მათ პროექტი 9 თვეში უნდა დაასრულონ. თუ კვლევა დაადგენს, რომ იდეის განხორციელება შესაძლებელია და ის კოსმოსის შესწავლას სარგებელს მოიტანს, გუნდი მეორე, 2-წლიანი ეტაპისთვის დამატებით 500 ათას დოლარს მიიღებს.

### პრევიდენტის ხელოვნური ჩაკი უმუშევრობისთვის

„ვაშინგტონ პოსტის“ ცნობით, კორონავირუსის გამო აშშ-ში უმუშევრად დარჩენილი მოქალაქეები ქვეყნის პრეზიდენტის, დონალდ ტრამპის მიერ ხელმოწერილ ჩეკს მიიღებენ. აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა დახმარების დარიგების პროცესი რამდენიმე წლით გადაადო, რათა ჩეკებზე პრეზიდენტის სახელი დაბეჭდონ.

ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ-ის შემოსავლების სამსახურის ჩეკზე პრეზიდენტის სახელს დაბეჭდავენ. აშშ-ის მთავრობის მიერ მიღებული ანტიკრიზისული პაკეტის ფარგლებში, აშშ-ის მოქალაქეები დახმარების სახით 1200 დოლარს მიიღებენ.

### 26 წელი - თავში შეჩქობილი ღანით

76 წლის ფერმერის განცხადებით, ბოროტმოქმედებმა ის დაყაჩაღების დროს დაჭრეს. დანამ სასიცოცხლო ორგანოებთან ძალიან ახლოს ჩაიარა და მისი ამოღება მხოლოდ მაღალკვალიფიციურ ქირურგს შეეძლო. ფერმერის მშობლიურ ქალაქში ოპერაციას ვერც ერთი ქირურგი ვერ ატარებდა, რის გამოც 26 წლის განმავლობაში კაცი თავში 10-სანტიმეტრიანი ღანით ცხოვრობდა და ყოველდღე ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს სვამდა. 2012 წელს მისი ისტორიით ორი უცხოელები ქირურგი დაინტერესდა.



გამოკვლევისას მათ აღმოაჩინეს, რომ მარჯვენა თვალის ფერმერი საერთოდ ვეღარ ხედავდა. ამის შემდეგ ფერმერი შანდუნის პროვინციის ერთ-ერთ მსხვილ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოპერაციის შემდეგ ქირურგებმა ფერმერის თავიდან 10-სანტიმეტრიანი ღანა ამოიღეს.

### საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA

ბ. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5  
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი  
საბარტაძე ძოგუღია  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიაშვილი  
599 53-76-16;

ალექს  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაქიძე  
514 33-33-24

გამომცემლობა:  
შპს „ახალი საუკუნე“ —  
გაზეთ „საქართველოს  
რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
599 53-76-16; 599 36-00-35  
შპს „თანამშრომელთა“ გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა  
„ქოლორ პრესში“  
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)  
ს-323



ავტორთა  
საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ  
შეუკვეთაში მასალები  
დაიბეჭდება  
ავტორთა ხარჯით.  
ავტორთა მოსაზრებები,  
შეხვედრები, მუდამ  
არ ემთხვეოდან  
რედაქციის პოზიციას.  
ფაქტების სიზუსტეზე  
პასუხს აბეზან  
ავტორები.

„საქართველოს  
რესპუბლიკა“  
შენი გაზეთია,  
აუსილვლად  
გამოიწერე, რასაც  
აქ წაიკითხავ,  
სხვაგან ვერ ნახავ!



უსტოპრი ვაჭარის ქარსი:  
აშუ ფონური - 3.1349; პირი - 3.4305;  
ბრეტანული პირიანა სტარტინგი - 3.9299;  
100 რუბლი - 4.2656; თურქული ლირა - 0.4616;  
აზერბაიჯანული მანათი - 1.8441;  
1000 სომხური დრამი - 6.4637.

აპრილი 16 აპრილისთვის

აღმოსავალი	სამარტოპოლი:				
ბარი -	ღამი	+6,	ღვ	+20	
მთიანი რაიონები -	ღამი	+3,	ღვ	+15	
დასავალი სამარტოპოლი:					
ბარი -	ღამი	+8,	ღვ	+15	
მთიანი რაიონები -	ღამი	+4,	ღვ	+11	
თბილისი:	ღამი	+11,	ღვ	+18	

დაგვიკავთ, მოგვწერათ:  
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84  
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru  
და sakresp@top.ge  
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge